ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

5 სექტემბრიდან
„ალადინი“
„ახალ თაობასთან“ ერთად
ფასი 1.30




6 — 7 სექტემბერი, 2014

№211 (6522)

ფასი: 30 თეთრი

# დავით ლორთქიფანიძე: „პარლამენტი კრიმინალების თავშესაფარი გახდა“



გვ.4

ვის დაკითხვას ითხოვს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი

„გადახედეთ პარლამენტის შემადგენლობას და გამოიცნობთ. პარლამენტის რამდენიმე წევრი მინისტრის პოსტზე იყო. მათთან დაკავშირებით მაშინვე არსებობდა უამრავი პრეტენზია. ასე რომ, მათ აუცილებლად უნდა დაუსვას პროკურატურამ კითხვები. მერე რა, რომ დეპუტატები არიან. დააშავეს? კეთილი ინებონ და კითხვებს პასუხები გასცენ. პარლამენტი კრიმინალების თავშესაფარი არ უნდა იყოს. ახლა, სამწუხაროდ, ასეა. ძალიან დიდ დისკომფორტს ვგრძნობ, როცა პარლამენტში კრიმინალების მომღიმარ სახეებს ვხედავ".



გვ.3

## გია ხუხაშვილი: „დავით ნარმანიას ვთხოვ, ნუ დაუჯერებს თავისი გუნდის „რეკომენდაციებს!“

ბოლო რამდენიმე დღეა ვხედავ ისტერიკას, რომელიც ტელევიზიებში მიზანმიმართულად მიმდინარეობს და ხელოვნურად ხდება ამ თემის აწევა. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოში კრიმინოგენული ვითარება არის აბსოლუტურად სტაბილური და სახელმწიფო აკეთებს ყველაფერს, რომ ვითარება იყოს კონტროლის ქვეშ.



გვ.3

## ირაკლი ღარიბაშვილი: „იარაღის ტარებაზე კანონი გამკაცრდება“

## სოსო შატბერაშვილი: „არ შეიძლება, კრიმინალებს თავზე ხელი გადავუსვათ“



გვ.5



გვ.2

## ირაკლი სესიაშვილი: „ექსპერტებს ირაკლი ალასანიასთვის ბოდიშის მოხდა მოუწევთ“

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირაკლი სესიაშვილი: „ექსპერტებს ირაკლი ალასანიასთვის ბოდიშის მოხდა მოუწევთ“

გულიკო ბალაძე

**როგორი გაუბედურებული თავდაცვის უწყება დახვედრია ნაციონალურმა მოძრაობამ ახალ ხელისუფლებას 2012 წელს? რა პრობლემები იყო? ამაზე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი არ საუბრობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, მისი თქმით, ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა.**

რა რეფორმები ჩატარდა თავდაცვის უწყებაში ვითარების გამოსასწორებლად, ირაკლი სესიაშვილის თქმით, ამის გაგება ექსპერტებს, რომლებიც ჩვენთან ინტერვიუებში აცხადებენ, რომ თავდაცვის უწყებაში მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები ჩატარდა და ძირეული რეფორმები არ გატარებულა, თავისუფლად შეუძლიათ. სესიაშვილი იმ ექსპერტებს, რომლებიც ამას აცხადებენ, ბოდიშის მოხდას ურჩევს.

ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ თავდაცვის სისტემაში იმგვარი რეფორმები ჩატარდა, რომელმაც ეს უწყება ნატოსთან აბსოლუტურად თავსებადი გახადა, რაც აისახა კიდეც ნატოს მიერ დოკუმენტში.

ირაკლი სესიაშვილმა ამ საკითხთან ერთად „პირველ“ პრესკლუბში ისაუბრა ნატოს უელსის სამიტზე საქართველოსთვის შემოთავაზებების მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნისა და მისი თავდაცვისუნარიანობისთვის.

მისი განცხადებით, კურსი, რომელიც აღებული აქვს საქართველოს, არ შეიცვლება.

– ჩვენ ბილეთი აღებული გვაქვს მხოლოდ ერთი მიმართულებით. ეს არის ნატო და ევროკავშირი, – განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა.

ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ ეს არის სამიტი, რომელიც შეიძლება იყოს გარდამტეხი ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისთვის.

– ეს არის სამიტი, რომელიც გარდამტეხი იქნება ჩვენი ნატოში გაწევრიანებისთვის. აქამდე საქართველოს ნაბიჯები ნატოს მიერ, მაინცდამაინც, სერიოზულად არ იყო აღქმული. აშკარაა, რომ ყველა ის ღონისძიება, ყველა ის პროგრამა, რასაც ჩვენ ვახორციელებდით და ხვალიდან დავიწყებთ განხორციელებას, მიმართული იქნება პირდაპირ ნატოს წევრობისაკენ. მინდა შევაფასო „გაძლიერებული პარტნიორობის პაკეტი“, რომლის ძირითადი კომპონენტები ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ, მაგრამ ამასთანავე ეს არის ძალიან სერიოზული პოლიტიკური გზავნილი ჩვენი ოკუპანტის წინააღმდეგ, – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

მისი თქმით, თავდაცვისუნარიანობის გაზრდა ნიშნავს გააზრებას, რომ საქართველო ნატოში შევა.

– თავდაცვისუნარიანობის გაზრდა ნიშნავს იმის გააზრებას, რომ საქართველო ნატოში შევა არა, როგორც ერთ-ერთი რიგითი ქვეყანა თავისი პრობლემებით, არამედ ძლიერი თავდაცვის უნარის მქონე სახელმწიფო. ამ კონტექსტშია განსახილველი საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზის ჩამოყალიბება. ეს პირდაპირ ნიშნავს, საქართველოში ნატოს არსებობას, რაც უახლოეს მომავალში იქნება საწინდარი იმისა, რომ საქართველო, რეალურად, გახდება ნატოს წევრი, – ასე აფასებს ირაკლი სესიაშვილი იმ შემოთავაზებებს, რომელიც ნატოს უელსის სამიტის ფარგლებში იქნება.



ირაკლი სესიაშვილი აფასებს ასევე ნატოს უელსის სამიტზე მონიჭებულად განსაზღვრულ „ოქროს ბარათის სტატუსს“.

– ჩვენ გვანიჭებენ „ოქროს ბარათის სტატუსს“ (რაც, ალბათ, აღარ შეიცვლება), ჩვენ შეგვიყვანეს ყველაზე თავსებადი ქვეყნების რიცხვში, საკმაოდ ძლიერ ევროპულ ქვეყნებთან ერთად მოვიაზრებით ამ სიაში. ეს არის აღიარება, რომ ჩვენი ქვეყანა აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს, რაც, თავისთავად, მომავალში იქნება იმის საწინდარი, რომ გარკვეული ტექნიკური დეტალები ძალიან მოკლე დროში გადავლახოთ. ფაქტობრივად, თავსებადი ვიქნებით ნატოს სტანდარტებთან. ჩვენ არ დაგვჭირდება ის ეტაპები, რომელიც მაპმინიჭებულ ქვეყნებს სჭირდებათ. გარდა ამისა, ჩვენ შეგვეძლება ნატოში უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილებების დაგეგმვაში პირდაპირი მონაწილეობა მივიღოთ. ფაქტობრივად, ჩვენ ნატომ მიგვიღო თანასწორუფლებიან წევრად, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, ეს არის ნატოს ძირითადი პრინციპი, მაგრამ ის, რომ ჩვენ ვართ ნატოში და ნატო არის საქართველოში, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ სწორი გზით მივდივართ. ჩვენ გავხდებით ნატოს წევრი. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის, რეგიონისთვის და მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებისთვის, – ასეთია ირაკლი სესიაშვილის შეფასებები.

დეპუტატის განცხადებით, ყველა დარწმუნდა, რომ ევროპული სახელმწიფოების გარკვეულ ქმედებებს, მომხდარიყო რუსეთის შეჩერება, აზრი არ აქვს, რადგან რუსეთი მოქმედებს მხოლოდ თავისი ინტერესების შესაბამისად.

– რუსეთი მოქმედებს ძალიან ხისტად და მხოლოდ თავისი ინტერესების შესაბამისად, რომელიც იწვევს სხვა ქვეყნების ინტერესების კანონიერი უფლებების დარღვევას. ამიტომ ჩვენ ძალიან მკაფიოდ და პრინციპულად გვაქვს გაცხადებული – შეიძლება ითქვას, რომ ბილეთი გვაქვს აღებული მხოლოდ ერთი მიმართულებით. ეს არის ევროკავშირი და ნატო. ამ გზაზე ჩვენ მოგვიწევს სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. ცხადია, ჩვენ ვაანალიზებთ, რა პრობლემებიც შეიძლება წარმოიშვას, მათ შორის, რუსეთის მხრიდან. თუმცა, მიზანი იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ამ რისკებისთვის მზად უნდა ვიყოთ. სახელმწიფო ყოველდღიურად, მუდმივად აანალიზებს საერთაშორისო პოლიტიკურ მოცემულობას, სამხედრო-პოლიტიკურ მოცემულობას და ვცდილობთ შევამციროთ რისკები. შემოთავაზებული პაკეტით ძირითადი ამოცანა იქნება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა. ამერიკისა და სხვა ქვეყნების ლიდერებმა გააკეთეს განცხადება, რომ მათ უნდა მიმართონ ძალისხმევას, საქართველოს, მოლდოვასა და სხვა ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების უნარიანობის გასაძლიერებლად. ეს თავისთავად იქნება იმ რისკების შემაკავებელი, რომელიც არსებობს. მოწინააღმდეგემ უნდა გაიაზროს და მხედველობაში მიიღოს, რომ ეს ქვეყანა იმდენად ძლიერია, მას არ უღირს თავდასხმის განხორციელება. ამ გზით უნდა წავიდეთ, – მიაჩნია ირაკლი სესიაშვილს.

ის ფიქრობს, რომ „დღეიდან ჩვენ გვექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მივიღოთ ნატოს ყველა ღონისძიების დაგეგმვასა და პოლიტიკის განსაზღვრაში, გადაწყვეტილების მიღებაში“.

– ჩვენ ვიქნებით ჩართული ყველა რეალურ პროცესში. ფაქტობრივად, იგივე სტატუსით, როგორიც წევრებია. აქ საუბარია დაგეგმვა-გადაწყვეტილების მიღებაზე. თუ ჩვენ ვსაუბრობთ მე-5 მუხლზე, ის ვერ იმუშავებს, სანამ უშუალოდ წევრი არ გავხდებით, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყანა ნატოში არის, როგორც სრულუფლებიანი წევრი, წევრობის გარეშე და მონაწილეობს ყველა იმ პროცესში, რაშიც წევრები არიან ჩართული. არც ერთი სხვა ქვეყანა ამ სტატუსს არ ატარებს. ეს იქნება ბერკეტი იმისა, რომ გვქონდეს მუდმივი კავშირი ჩვენს პარტნიორებთან. ჩვენ მივდივართ არა მყარი პარტნიორობისაკენ, არამედ წევრობისკენ. ჩვენ გავაგრძელებთ იმ ნაბიჯების გადადგმას, რომელიც მიგვიყვანს ნატოს წევრობამდე. ბოლოს, როდესაც ნატოს წარმომადგენლები საქართველოში იმყოფებოდნენ, პირდაპირ განაცხადეს, რომ ისინი უკვე სერიოზულად აფასებენ და ესმით, რომ საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს.

***– ბატონო ირაკლი, ახალი შემოთავაზებები საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით, კონკრეტულად, რა ახალ რეალობებს შექმნის?***

– დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. დეტალები დამტკიცების შემდგომ გადაწყდება ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად, მათ შორის სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების ფარგლებში იმიტომ, რომ აქ არ არის საუბარი მხოლოდ ნატო-საქართველოზე. აქ საუბარია ნატოს წევრსა და საქართველოს შორის დამატებით ურთიერთობაზე.

***– ექსპერტები აცხადებენ, რომ თავდაცვის სისტემაში მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები მოხდა. რატომ ვერ ხერხდება თავდაცვის სისტემის ძირეული რეფორმირება?***

– ვინ გითხრათ, რომ კოსმეტიკური ცვლილებები მოხდა?

***– ექსპერტები ჩვენთან ინტერვიუში აცხადებენ.***

– ძალიან დიდი ბოდიშის მოხდა მოუწევთ იმ ექსპერტებს, რომლებმაც გააკეთეს განცხადება, თითქოს თავდაცვის სისტემაში მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები მოხდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში მე ვმუშაობდი ამ კუთხით, ვიყავი ერთგვარი ზედამხედველი და თანამონაწილე იმ ცვლილებებისა, რაც განხორციელდა თავდაცვის უწყებაში. საზოგადოებამ არ იცის, რა დაგვხვდა ჩვენ, როგორი თავდაცვის უწყება დაგვხვდა. პოლიტიკურ სპექტრს ჰქონდა საშუალება, მათ შორის, ჩვენს ოპონენტებსაც, გაცნობოდნენ იმ რეფორმებს, რომელიც ჩატარდა თავდაცვის უწყებაში, მათ შორის, სტრუქტურული რეფორმები. მე ვიტყოდი, რომ ერთ-ერთი სერიოზული რეფორმა ჩატარდა უწყებაში საკმაოდ ძლიერ სტანდარტებზე დაყრდნობით, რომელიც აღიარებულია ნატოს მიერ, აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ. შეფასებები, კონკრეტულად, დაფიქსირებულია ნატოს მიერ დოკუმენტში. ნატოს შემფასებლებმა განაცხადეს, რომ ეს იყო ყველაზე კარგი განხორციელებული პროგრამა, რაც კი ოდესმე საქართველოს ჰქონია. ასე რომ, ის ექსპერტები, რომლებიც ამგვარ განცხადებებს აკეთებენ, გაეცნონ განხორციელებულ რეფორმებს. ამის საშუალება თუ არ აქვთ, ვერ დავიჯერებ. ჩემთან კომიტეტში შექმნილია სამოქალაქო საბჭო. მათ აქვს ყველანაირი წვდომა და შეუძლიათ ჩატარებულ რეფორმებს გაეცნონ. აქ პრობლემებს მე ვერ ვხედავ. ვინც თქვენთან განაცხადა იმის შესახებ, თითქოს თავდაცვის უწყებაში კოსმეტიკური რეფორმები ჩატარდა, დამიჯდეს და დამელაპარაკოს. თავდაცვის უწყებაში რა დაგვხვდა და რა დონეზე მივიყვანეთ, დეტალებზე ლაპარაკი არ შემიძლია. უბრალოდ გეტყვით, რომ საკმაოდ სერიოზული პრობლემები იყო. ისეთი პრობლემები იყო, რომ წარმოუდგენელია. ჩვენ, ადამიანებს, ყოველთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკეთესი შედეგი შეიძლებოდა მიღებულიყო. მათ შორის, კრიმინალთან დაკავშირებითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკეთესი შედეგი შეიძლებოდა გვქონოდა. მაგრამ ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ უარესი შედეგი შეიძლებოდა გვქონოდა. ვფიქრობ, თავდაცვის უწყებაში კარგი რეფორმები ჩატარდა. განსაკუთრებით გენშტაბმა იმუშავა კარგად. მთელი რიგი სტრუქტურული ცვლილებები მოხდა და ეს პროცესები გრძელდება.

***– გაგვიმხილეთ, რა პრობლემები დაგახვედრათ ნაციონალურმა მოძრაობამ თავდაცვის უწყებაში?***

– ამაზე ღიად ვერ ვისაუბრებ.

***– რატომ?***

– სახელმწიფო საიდუმლოებაა.

***– ჩვენი თავდაცვის სისტემის ნატოს სტანდარტებთან თავსებადობაზე რას იტყვით?***

– ჩვენი თავდაცვის უწყება სტრუქტურულად თითქმის აბსოლუტურად თავსებადია ნატოს სტანდარტებთან.

## „ხელისუფლებამ დამნაშავეთა სამყაროს ცოცხები „გამოაძრო“, მათგან კი სერიოზული გამოწვევა მიიღო“



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ დამნაშავეთა სამყაროს ცოცხები და ხელკეტები „გამოაძრო“, სანაცვლოდ კი, მათგან სერიოზული გამოწვევა მიიღო.

როგორც მან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენულ სიტუაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, ხელისუფლების ლოიალურმა მიდგომამ, როგორც ჩანს, შედეგი არ გამოიღო.

„სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ, მაგრამ ხელისუფლებამ დამნაშავეთა სამყაროს ცოცხები და ხელკეტები „გამოაძრო“ და სანაცვლოდ დამნაშავეთა სამყაროსგან, სერიოზული გამოწვევა მივიღეთ. მე ვიძლევი პირობას, რომ ჩემს სისტემაში, დამნაშავეთა სამყარო კანონის მაქსიმალურ სუსხს იგრძნობს, მაგრამ ეს არ იქნება ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე“ – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

ბოლო რამდენიმე დღეა, „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებასა და დანაშაულის სტატისტიკის ზრდაზე საუბრობს.

**ნიუსპრესი**

## „„გლობალური კონკურენტუნარიანობის“ რეიტინგში საქართველომ პოზიციები გაიუმჯობესა“

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის შეფასებით, „გლობალური კონკურენტუნარიანობის“ რეიტინგში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტია. ამის შესახებ მან გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

„მნიშვნელოვანია, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველომ პოზიციები გაიუმჯობესა. ვფიქრობ, ესაა ძალიან კარგი სიგნალი, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანა სწორი გზით ვითარდება და ინვესტორებს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ, საქართველოში კონკურენტუნარიანი პროდუქცია აწარმოონ. მნიშვნელოვანია, იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირთან ხელი მოვაწერეთ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, რაც ასევე, ინვესტიციებისთვის ძალიან კარგ შესაძლებლობას იძლევა“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ მიხედვით, საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა და ქვეყანამ 144 ქვეყანას შორის 72-დან 69 ადგილზე გადმოინაცვლა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა – სლოვენია, სლოვაკეთი, უკრაინა, ხორვატია, საბერძნეთი, მოლდოვა, სომხეთი, სერბეთი, ალბანეთი, არგენტინა.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „იარაღის ტარებაზე კანონი გამკაცრდება“

შორენა გონგლაძე

გასული კვირის განმავლობაში მომხდარი დანაშაულებების ფონზე, გასაკვირი არც იყო, რომ გუშინდელ მთავრობის სხდომაზე მთავარი განსახილველი საკითხი სწორედ ქვეყანაში გართულებული კრიმინოგენული ვითარება და პრევენციის გზების ძიება იყო. მიუხედავად ამისა, პრემიერ-მინისტრი ფიქრობს, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება აბსოლუტურად სტაბილურია. პრემიერის თქმით, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ ამ კუთხით სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდეს.

— ბოლო რამდენიმე დღეა ვხედავ ისტერიკას, რომელიც ტელევიზიებში მიზანმიმართულად მიმდინარეობს და ხელოვნურად ხდება ამ თემის აწევა. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოში კრიმინოგენული ვითარება არის აბსოლუტურად სტაბილური და სახელმწიფო აკეთებს ყველაფერს, რომ ვითარება იყოს კონტროლის ქვეშ. შინაგან საქმეთა მინისტრი, მთლიანად სამინისტრო არის აბსოლუტურად მოტივირებული, 24 საათის განმავლობაში მუშაობენ პოლიციელები და ფასდაუდებელია მათი შრომა. ის, რაც მოხდა ბოლო დღეების განმავლობაში, რა თქმა უნდა, არის ყველასთვის ძალიან მძიმე — არავისთვის არ არის სასურველი და მინდა მწუხარება გამოვთქვა ყველა იმ ოჯახის მიმართ, რომლებმაც დაკარგეს ოჯახის წევრები, მაგრამ ყველა ქვეყანაში, ყველა განვითარებულ სახელმწიფოში ხდება დანაშაული. არ მინდა ისე გამოვიდეს, თითქოს თავს ვიმართლებთ, ან ვიცავთ, მით უმეტეს, რომ ესაა ჩვენი ოპონენტების მიერ აწეული, უსუსური მცდელობა წარმოაჩინონ ისე, თითქოს სახელმწიფო ვერ ან არ ებრძვის კრიმინალს, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერი ფიქრობს, რომ ამ კუთხით შინაგან საქმეთა სამინისტრო ბევრს მუშაობს და შინაგან საქმეთა მინისტრის მუშაობა დასაფასებელია. ღარიბაშვილის თქმით, უწყება ცდილობს 24 საათის განმავლობაში ებრძოლოს კრიმინალს და ამავე დროს არ დაარღვიონ ადამიანის უფლებები.

— მინდა გითხრათ, რომ მე გავეცანი იმ კომპლექსურ ღონისძიებათა პრევენციულ გეგმას, რომელიც შეიმუშავა ბატონმა ჭიკაიძემ და მისმა უწყებამ. საბედნიეროდ, ჩვენ გვაქვს ის მიდგომები, რომელიც ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაშია — ერთი მხრივ, მაქსიმალურად ვცდილობთ ადამიანის უფლებები არ დაირღვეს და მეორე მხრივ, ვაწარმოებთ უკომპრომისო ბრძოლას კრიმინალის წინააღმდეგ. ამ ბალანსის დაჭერაა ჩვენი მთავარი ამოცანა. ის საქმიანობა, რასაც აწარმოებს ბატონი ჭიკაიძე, დასაფასებელია — ისინი ცდილობენ 24 საათის განმავლობაში ებრძოლონ კრიმინალს და ამავე დროს არ დაარღვიონ ადამიანის უფლებები. ამას სჭირდება დაფასება, — განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილმა ამნისტირებულ პატიმრებზეც ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ საპატიმროებში მათი ბედი გაურკვეველი იყო.

— მათი ბედი აბსოლუტურად გაურკვეველი იყო. იყო ალბათობა, რომ მათი დიდი ნაწილი ციხიდან ცოცხალი ვერ გამოსულიყო. ისინი იყვნენ მსხვერპლნი არაადამიანური მოპყრობის, წამების, გაუპატიურების. მივიღეთ ჰუმანური აქტი და გამოვუშვით ციხეებიდან ათასობით პირი და მათ მივეცით შანსი, რომ მოეხდინათ რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში. საბედნიეროდ, ბევრმა მათგანმა ეს ყველაფერი დააფასა, ბევრმა არ დააფასა და ისინი ბატონ მღებრიშვილის უწყებაში არიან მოკალათებულნი, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის განცხადებით, ოპონენტები მიზანმიმართულად ცდილობენ, საზოგადოებაში გააჩინონ განცდა, რომ გაუარესებული კრიმინოგენული ვითარებაა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს დავალებით მიმართავს, იარაღის ტარებასთან დაკავშირებული რეგულაციები კიდევ უფრო გაამკაცრონ.




— ჩვენ კრიმინალთან ბრძოლის მიმართულებით ვართ უკომპრომისო. მინდა დაგავალოთ ბატონ ჭიკაიძეს და ქალბატონ წულუკიანს, რომ სასწრაფოდ შეიმუშაოთ შესაბამისი კანონპროექტი და მაქსიმალურად გაამკაცროთ იარაღის ტარებასთან დაკავშირებული ყველა ის მუხლი, რომელიც ამ წესებს არეგულირებს. ასევე მინდა მივმართო მშობლებს, რომლებიც საკუთარ შვილებს სახლიდან უშვებენ დილით, რომ ეს პრობლემა არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეხება, არამედ ეს გვეხება ყველას და ამას მაქსიმალური პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ, — განაცხადა ღარიბაშვილმა. იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო იარაღის ტარებასთან დაკავშირებული რეგულაციების გამკაცრების შესახებ კანონპროექტს მთავრობის მომავალ სხდომაზე წარადგენს, მისივე განმარტებით, ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ მთავრობა იქნება მკაცრი მათთან ბრძოლაში, ვინც იარაღის უკანონოდ ტარებას და თანატოლზე ხელის აღმართვას გაბედავს.

— რა თქმა უნდა, იმ დანაშაულთან ბრძოლა, რომელიც არის მიმართული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, უნდა იყოს მკაცრი. ამ ბრძოლაში არ უნდა დაგვავიწყდეს ადამიანის უფლებები, მაგრამ აუცილებელია და დავალებაც მივიღეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრევენციული ღონისძიებები გაატაროს, რათა თითოეულმა ახალგაზრდამ იცოდეს — იარაღის უკანონო ტარება, იქნება ეს ცივი იარაღი თუ ცეცხლსასროლი იარაღი, არ არის კანონით დაშვებული. იუსტიციის სამინისტრო მთავრობას მომავალ სხდომაზე წარუდგენს კანონპროექტთა პაკეტს, რომლითაც გამკაცრდება იარაღის, მით უმეტეს, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების შესახებ ჩვენს კანონებში არსებული ნორმები, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა. მისივე თქმით, კანონპროექტი მთავრობას რამდენიმე დღეში წარედგინება.

— მინდა, რომ უკვე ამ წუთიდან მოხდეს ყველა ახალგაზრდის გაფრთხილება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობა იქნება მკაცრი მათთან ბრძოლაში, ვინც იარაღის უკანონო ტარებას და თავის თანატოლზე ხელის აღმართვას გაბედავს, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მინისტრის თქმით, დანაშაულის მთლიანად აღმოფხვრის ილუზია ნურავის ექნება. მისივე განმარტებით, დანაშაული ყველა ქვეყანაში ხდება.

— დღეს კრიმინოგენული მდგომარეობა, როგორც ითქვა, არის სტაბილური. დანაშაულის მთლიანად აღმოფხვრის ილუზია ნურავის ექნება, რადგან ის ყველა ქვეყანაში არსებობს. მთავარი ჩვენთვის და ჩვენი მთავრობისთვის არის ის, რომ როდესაც დანაშაული ხდება, ეჭვმიტანილი იქნეს რაც შეიძლება სწრაფად დაკავებული, ხოლო როცა დამტკიცდება, რომ პირი არის დამნაშავე და სიცოცხლის წინაშე ჩაიდინა დანაშაული, სასჯელი იყოს მკაცრი და ადეკვატური, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა. მისივე თქმით, ასევე აუცილებელია პრევენციული ღონისძიებები, კანონის გამკაცრება კი ემსახურება იმას, რომ ვინც უკანონოდ ატარებს იარაღს და შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული, გაფრთხილდეს, — ანუ ამას ჰქონდეს გადამარწმუნებელი ეფექტი.

# გია ხუხაშვილი: „დავით ნარმანიას ვთხოვ, ნუ დაყვება თავისი გუნდის „რეკომენდაციებს!“

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ პოლიტოლოგ გია ხუხაშვილთან

***— ბატონო გია, დედაქალაქის მერიის მიერ შეჩერებული 26 მილიონიანი ინფრასტრუქტურული ტენდერის შეჩერების მიზეზად არაკვალიფიციურად შედგენილი ხელშეკრულებები დასახელდა, რამდენად სარწმუნოა ეს არგუმენტი?***

— ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში ტენდერებს იგებდნენ ხელისუფლებაში ინტეგრირებული ან მინიმუმ ლოიალური კომპანიები. შესაბამისად, ისინი ძალიან ზერელედ უდგებოდნენ იგივე საკონტრაქტო ურთიერთობებს და იურიდიულადაც ნაკლებად იყო პასუხისმგებლობები გაწერილი, შემდგომში კი იწყებოდა გარკვეული გაუგებრობები, რითიც ზარალდებოდა ბიზნესი. დავით ნარმანიას ამის გამოცდილება აქვს ინფრასტრუქტურის სამინისტროში მუშაობის პერიოდში და როგორც ჩანს, ამ სქემით აპირებს ის ამ ყველაფრის გაჯანსაღებას, რაც მისასალმებელია. მაგრამ აქ არის ერთი საფრთხე, რომ ამის გამო არ მოხდეს დიდი ხნით სხვადასხვა პროექტების შეჩერება. ქალაქი არის ცოცხალი ორგანიზმი და არ მინდა, რომ კიდევ ერთი საფუძველი მიეცეს ნაციონალურ მოძრაობას ახალ თემაზე, რომ დედაქალაქში არაფერი აღარ კეთდება. ერთი მხრივ, ტენდერების რევიზია რაც დაიწყო, არის სწორი და მეორე მხრივ, ეს უნდა გააკეთოს ძალიან სწრაფად, რომ არ მოხდეს ქალაქში სხვადასხვა პროექტების შეჩერება.

***— თუკი თბილისის მთავრობას პრეტენზია ჰქონდა არა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან, არამედ გაუმართავ ხელშეკრულებებთან, მაშინ რატომ არ მოხდა ხელშეკრულებების კორექტირება?***

— მერიას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული პრეტენზიები, მაგრამ სამართლებრივი შეფასება არ მისცეს. მერიას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ეჭვები, რომ რაღაც არ იყო წესრიგში, მაგრამ უკვე დადებული კონტრაქტების კორექტირება ძალიან რთულია, რადგანაც ამ კორექტირებას მეორე მხარე ან თანხმდება და ან არა. ის, რომ ჩაიხედო ამ ურთიერთობების ანატომიაში, ეს ძალიან რთულია და სპეციფიკური. ეს სულაც არ არის მერიის საქმე, ეს ეხება სამართალდამცავ ორგანოებს. აქედან გამომდინარე, ალბათ ჯობია სიტუაცია განულდეს, ანუ ზოგჯერ დგება მომენტი, როდესაც რაღაცის რეკონსტრუქციას სჯობს ყველაფერი დაანგრიო და



ნულიდან დაიწყო. რა თქმა უნდა, ამაში სასიამოვნო არაფერი არაა, მაგრამ ეს არის იძულებითი ნაბიჯი და ვერაფერს ვერ იზამ. კონტრაქტების კორექტირებაში კი მე გარკვეულ საფრთხეებს ვხედავ. ამიტომ ჯობია, რომ ახალ პრინციპებზე მივიღოთ ახალი სურათი.

***— ახალი რეგულაციით, დაკავდება მთლიანი კონტრაქტის 5 პროცენტი, თანხის სრული ანაზღაურება კი შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ მოხდება, რაც უკვე დროში გაწელილი პროცესია, ხომ არ შექმნის ეს გარკვეულ უკმაყოფილებას?***

— გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია მეტს დებს სამუშაოების შესრულებისთვის, ვფიქრობ, რომ ეს არ შეიქმნის პრობლემებს, ვფიქრობ, რომ ეს აბსოლუტურად ჯანსაღი საკონტრაქტო პირობაა, მთავარია, რომ კომისია, რომელიც დაადგენს სამუშაოების შესრულების ხარისხს, იყოს პარიტეტულ საწყისებზე და ორივე მხარისთვის მისაღები იყოს, ანუ მისი ობიექტურობა იყოს უზრუნველყოფილი და ამაში მე პრობლემას ვერ ვხედავ. ვფიქრობ, რომ ეს საკმაოდ საინტერესო იდეაა, და ტექნიკურად ეს იმდენად კარგად უნდა იყოს განხორციელებული, რომ არ გამოიწვიოს გაუგებრობები. — თბილისის მერია ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ფინანსთა სამინისტროდან 30 მილიონიან სესხს იღებს.

— ჩვენ ვიცით, როგორ მოქმედებდა წინა ხელისუფლება. მე მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ იქნებოდა გადახარჯვები. რამაც, როგორც ჩანს, თბილისის ბიუჯეტი დააყენა გარკვეული პრობლემების წინაშე და იძულებული გახადა დღევანდელი მერია, ეს დეფიციტი რაღაცით შეევსო და იძულებული გახდა, რომ აეღო კრედიტი. საინტერესოა თავად კრედიტის პირობები, ეს უნდა იყოს ნორმალური, რადგან ეს ჩვენი ჯიბეებიდან გადასახდელი ფულია და ამას თვალი უნდა მივადევნოთ, რათა კრედიტთან დაკავშირებით ყველაფერი იყოს წესრიგში. ის თუ რატომ იღებს მერია კრედიტს, მე ამაზე კითხვები არ მიჩნდება, მეტიც, ეს მოსალოდნელიც იყო, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ ისტერიულად ცდილობდა ნაციონალური მოძრაობის კუთვნილი მერია, წინმსწრებად მეტი თანხა აეთვისებინათ.

***— დედაქალაქის მერიიდან თანამშრომლების მასობრივი გათავისუფლება დაიწყო, რამაც საერთო პროტესტი გამოიწვია, ამ პროცესს უკვე მიეცა პოლიტიკური დევნის სტატუსი.***

— აქ არ ჩანს სუბიექტური ტენდენციები და არ ვფიქრობ, რომ ადგილი აქვს პოლიტიკურ დევნას. თუმცა ვფიქრობ, რომ ამის მუდმივი მონიტორინგი უნდა წარმოებდეს, თუ არაჯანსაღ პროცესებს ექნება ადგილი, რა თქმა უნდა, საზოგადოებამ უნდა მიუთითოს მერიის ადმინისტრაციას. თუ ვინმეს გათავისუფლება ხდება პოლიტიკური ნიშნით, ან იმ ნიშნით, რომ ვიღაცას ვიღაცის ადგილი სჭირდება, ეს კატეგორიულად მიუღებელია. მინდა ვთხოვო დავით ნარმანიას, რომ იყოს პრინციპული და ნუ დაყვება თავისი გუნდის, ზოგ შემთხვევაში არაჯანსაღ „რეკომენდაციებს“. დავით ნარმანიას მინუსი არის ის, რომ მას შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში გაუჭირდეს წინააღმდეგობის გაწევა თავისი პოლიტიკური პარტნიორებისთვის. ვფიქრობ, რომ ეს არც მას არგებს და არც ქვეყანას, და იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება. მას უნდა ესმოდეს, რომ ლეგიტიმაციის ხარისხით ის არავისზე ნაკლები ფიგურა არ არის და მას შეუძლია თავის გუნდელებსაც რაღაცებზე უარი უთხრას, თუ ის თვლის, რომ რაღაც არ არის სწორი.

***— კრიმინოგენული ვითარების გამწვავება იყო მთავრობის სხდომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა, როგორ ფიქრობთ, ეს პირდაპირ კავშირში არის შინაგან საქმეთა მინისტრის კვალიფიკაციასთან?***

— ის, რომ ნაციონალური მოძრაობა ცდილობს ყველაფრის დრამატიზაციას, ეს ფაქტია, თუმცა მაღალი რისკები ყოველთვის არსებობს. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ეს რისკები არ იყოს რეალიზებული. ანუ ეს ყველაფერი უნდა იყოს მუდმივი კონტროლის ქვეშ. ჩემთვის ყველაზე შემაშფოთებელია ის, რომ ხდება შინაგან საქმეთა მინისტრის დისკრედიტაცია. შინაგან საქმეთა სამინისტრო არ არის ჯარი, რომ იქ რაღაც ბრძანება სრულდებოდეს უპირობოდ. თუ რიგითმა პოლიციელებმა დაკარგეს მინისტრის პატივისცემა, მაშინ შეიძლება ძალიან ცუდი პროცესები დაიწყოს. შინაგან საქმეთა მინისტრი, ჩემი აზრით, უნდა იყოს ორი ტიპის ადამიანი, ან უნდა იყოს ძალიან მაღალი პოლიტიკური წონის მქონე ადამიანი, რითაც ის შეძლებს სისტემის დაჭერას, ან უნდა იყოს პოლიციელი, რომელიც ნულიდან ნაბიჯ-ნაბიჯ არის გაზრდილი და შიგნით, სისტემის თვალსაზრისით, რომელმაც თავისი განვლილი გზით დაიმსახურა თავისი ავტორიტეტი. ადამიანს, რომელსაც არც ეს გზა არ გაუვლია და არც წონადი ფიგურაა, ასეთი ნიშანი ყოველთვის არსებობს და მე ძალიან არ ვისურვებდი, რომ მინისტრს სისტემის შიგნით არ დაეკარგა ავტორიტეტი, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ძალიან სერიოზული რისკების წინაშე დავდგეთ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დავით ლორთქიფანიძე: „პარლამენტი კრიმინალების თავშესაფარი გახდა“

## ვის დაკითხვას ითხოვს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ უნდა გარისკონ ნაციონალებმა საპროტესტო აქციების მოწყობა, ვისი ადგილი არ არის პარლამენტში, რატომ არ სურს დეპუტატების უმრავლესობას რიგგარეშე არჩევნები, ამ თემებზე „ახალ თაობას" საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე ესაუბრება.**

***– ქვეყანაში ვითარება ნელ-ნელა მწვავდება. არსებულ პრობლემებს კრიმინოგენული ფონის გაუარესებაც დაემატა. ნაცმოძრაობას ამ შემოდგომაზე დიდი აქციები აქვს დაგეგმილი. არსებული პრობლემების გამო მათი აქციები სახალხო მღელვარებაში ხომ არ გადაიზრდება?***

– არანაირ არეულობას არ ველოდები! რაც შეეხება ფონს, ის ერთი შეხედვით ძალიან მძიმეა. მედია და განსაკუთრებით ელექტრონული მედია ამ ვითარებას ისე აშუქებს, ხალხმა დაიჯერა, რომ აქ საშინელი ვითარებაა.

***– სინამდვილეში ასე არ არის?***

– ამის საპასუხოდ მე მოვიშველიებ სტატისტიკურ მონაცემებს. სტატისტიკის თანახმად, კრიმინოგენული ვითარების გაუარესება არც ერთ პუნქტში და არც ერთ პარაგრაფში არ შეინიშნება. ძველი ხელისუფლების პირობებში მომხდარი დანაშაულის შესახებ არასწორი ინფორმაცია ვრცელდებოდა. მედიის დიდი ნაწილი მათ ხელში იყო და ასეთი ფაქტები არ შუქდებოდა. მათგან განსხვავებით, ჩვენ არ ვმალავთ ამ ფაქტებს. დიახ, საქართველოში ხდება დანაშაულები, რაც ძალიან ცუდია. ნაციონალების მიერ კონტროლირებადი მედია ახლა რომ განგაშს ტეხს, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ამბავი რატომ არ გააშუქეს. „დროებაში“ ამ საზარელი დანაშაულის შესახებ სიუჟეტი რომ არ გასულიყო, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. ახლა კი მედია კრიმინალის გაშუქებაზეა გადასული.

***– თქვენი აზრით, მედიამ ასეთი ფაქტები არ უნდა გააშუქოს?***

– მე ეგ არ მითქვამს. მათ ყველა მოვლენა უნდა გააშუქონ, სწორედ ესაა მათი მოვალეობა. არც კრიმინალური ფაქტები უნდა დაიმალოს. უბრალოდ, იმას ვუსვამ ხაზს, რომ ადრე ამ ფაქტებს მალავდნენ. კიდევ ვიმეორებ, საქართველოში ხდება დანაშაული, მაგრამ არსებული ვითარება პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არის. დანაშაული ყველგან და ყველა დროში ხდება. მთავარია, რომ ყველა ასეთი ფაქტი გაიხსნას და დამნაშავეები კანონის დაცვით დაისაჯონ. ოფიციალური ინფორმაციით, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

***– მაჩვენებელი შეიძლება მაღალია, მაგრამ მოსახლეობაში უკმაყოფილება ყოველდღე იზრდება.***

– ისე აწვდიან ხალხს ინფორმაციას, უკმაყოფილება თავისთავად იქნება. ჩვენ ხალხს არ ვეუბნებით, რომ არსებულ ვითარებას გაგებით უნდა მოეკიდონ. ჩვენ იმიტომ ვართ ხელისუფლებაში, რომ ყველაფერი გამოვასწოროთ. მოსახლეობამ ჩვენ უნდა დაგვიჯეროს და არა იმ ძალებს, რომლებიც მხოლოდ დესტრუქციაზე არიან ორიენტირებული. კრიმინალს არ ეხება, მაგრამ ამ კითხვის საპასუხოდ ერთი საინტერესო მაგალითი უნდა მოვიყვანო. ჩემც მშობლიურ რაიონში, ვანში, ნაცმოძრაობამ ყველაფერი გააკეთა, რომ იქ საავადმყოფო არ ყოფილიყო.

***– ეს რა პერიოდზეა საუბარი?***

– მათი მმართველობის პერიოდში. 2010 წელს, ავადსახსენებელმა კახა ბენდუქიძემ, ვანის საავადმყოფო უსასყიდლოდ გადასცა უცხოურ კომპანია ადითს. ამ შენობის გადაცემის სანაცვლოდ, კომპანიას ახალი საავადმყოფო უნდა აეშენებინა. აშენების ნაცვლად, მათ გააუქმეს სამშობიარო და რეანიმაციული განყოფილება. მწყობრიდან გამოვიდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. გაყიდეს საავადმყოფოს დაქვემდებარებაში მყოფი პოლიკლინიკაც. ეს შენობა, ბოდიში მომითხოვია ამ სიტყვისთვის, მაგრამ იძულებით „შეატენეს“ ჯიპიაი ჰოლდინგს, რომლის ინტერესში საერთოდ არ შედიოდა ამ შენობის ყიდვა. ამის შესახებ მე კომპანიის ხელმძღვანელობას ვესაუბრე. მათ მითხრეს, რომ პოლიკლინიკა იძულებით, 100 ათასად აყიდინეს. იმის ნაცვლად, რომ ინვესტიცია ჩაედოთ, ფული იშოვეს. როგორც გავარკვიე, კომპანია ადითს საქართველოს სხვა რაიონებშიც ჰქონდა ახალი საავადმყოფოების აშენების ვალდებულება. არსად არაფერი არ გააკეთეს. მე ამ რაიონების მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად ეს საკითხი ჯანდაცვის კომიტეტის წინაშე დავაყენე. კომიტეტი აქტიურად ჩაერთო ამ პრობლემის მოგვარებაში. შეგვხვდა ჯანდაცვის მინისტრიც. მივაღწიეთ იმას, რომ ადითს შეუწყვიტეს ხელშეკრულება. ადითმა დაიწყო სასამართლო დავა, რაც ჩვეულებრივი ამბავია და არ მიკვირს. გასაკვირი ნაციონალების საქციელია. თვე არ გავა, ვანის საავადმყოფოში არ ჩაიყვანონ ტელევიზიები და ეს გაპარტახებული საავადმყოფო არ აჩვენონ. ადამიანი, რომელიც საქმის კურსში არ არის, ამ საავადმყოფოს რომ ნახავს, იტყვის, დაღუპულია ეს ქვეყანაო და ყველაფერს ჩვენ დაგვაბრალებს. არადა, ვანის საავადმყოფოში გამალებული რემონტი მიმდინარეობს. ის 1 ოქტომბრისთვის გაიხსნება. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ასე ატრიალებენ უკუღმა ყველაფერს ჩვენი ოპონენტები. ისინი არიან პოლიტიკური ბანდის წარმომადგენლები და თუ რამე ბოროტების გაკეთება შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთეს. ახლა თავიანთ ჩადენილ დანაშაულს სხვას აბრალებენ. რამდენჯერმე ითქვა, არეულობის მოსაწყობად ფული გარედან შემოაქვთო. რად უნდათ ფულის გარედან შემოტანა. ხელისუფლებაში ყოფნის დროს უზარმაზარი ფული მოიპარეს და კარგად აქვთ ეს შავი ფული შენახული.



***– ამ შავ ფულზე ხელისუფლება აქტიურად საუბრობს. თუმცა ვერაფერს ვერ უმტკიცებთ ნაციონალებს.***

– როგორ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ეს შავი ფულია? მას სახლში უდევს ეს ფული და ვერაფერს ვერ დაამტკიცებ. ამის დამტკიცებას ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება. ხელისუფლება ამ მიმართულებითაც კარგად მუშაობს. გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი დაკავებული არიან. სააკაშვილზე გამოცხადებულია ძებნა.

***– შიდა ძებნაა გამოცხადებული სააკაშვილზე, რომელიც საქართველოში არ ჩამოდის.***

– საერთაშორისო ძებნაც გამოცხადდება. ამაზეც მიმდინარეობს მუშაობა. სამართლიანობის აღდგენის კუთხით ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. როცა ყოფილი ხელისუფლების ზედა ეშელონებზე გადაივლის მრისხანების ტალღა, შემდეგ ეს დაბალ ეშელონებზე წამოვა. ბევრი ბოროტმოქმედი გამოაშკარავდება. ამას დრო უნდა, დრო. ჩვენ, ქართველები, ძალიან კარგი ხალხი ვართ, მაგრამ სულსწრაფობა გვახასიათებს. ახლავე გვინდა ყველაფრის გარკვევა და მიღწევა. ჩვენს სულსწრაფობას კარგად იყენებს ნაცმოძრაობა. კრიმინალის თემაზე კი მათ ხმა არ ამოეღებათ საერთოდ. ან იქნებ დაავიწყდათ, რომ მათ დროს ხალხს ქუჩაში პატრული და პოლიციის მაღალჩინოსნები ხოცავდნენ? მაგათ რა ჰგონია, გამცემლიძის და ვაზაგაშვილის ან სხვა ახალგაზრდების მკვლელობები დაივიწყა ვინმემ? დანაშაული არის, მაგრამ პოლიცია განუკითხავად არავის აკავებს და არც არავის ესვრიან.

***– სამაგიეროდ, იმ დღეს ერთმა მთვრალმა პოლიციელმა რუპორიდან შეიგინა და ამაზე ატყდა ერთი ამბავი.***

– პოლიციელის მხრიდან გინება მიუღებელია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იქაც ადამიანები არიან. ამასთან, ამ უწყებას აქვს თავისი შინაგანაწესი, რომლის დარღვევისთვისაც ყველა აგებს პასუხს. სამართლიანობა ყველა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, საქართველოს პარლამენტშიც უნდა იყოს. სხვა უწყებებისა რა გითხრათ, მაგრამ პარლამენტში სამართლიანობა ნამდვილად არ არის.

***– რაში გამოიხატება ეს უსამართლობა?***

– მე, პირველ რიგში, ვანის ჭირისუფალი ვარ და ჩემი რაიონიდან გამომდინარე ვილაპარაკებ. ვანიდან იყო წარმოშობით სულიკო ასათიანი, რომელიც 2011 წლის 26 მაისს მოკლეს და როგორც სააკაშვილმა თქვა, „ბუტკის“ თავზე დააგდეს. სულიკოს ოჯახმა უამრავი საშინელება გადაიტანა. ის არ აკმარეს, რომ მოკლეს, და მის ოჯახს ატერორებდნენ. მის ოჯახში აქტიურად დადიოდა ვანის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა ლეჟავა. ვიდრე ის დაბარებული არ იქნება პროკურატურაში, ვერ ვიტყვი, რომ პარლამენტში სამართალია.

***– რატომ ითხოვთ პროკურატურაში მის დაბარებას?***

– ის ასათიანის ოჯახში პოლიციის მაღალჩინოსნებთან ერთად დადიოდა. ისინი აშანტაჟებდნენ გარდაცვლილის მეუღლეს.

***– რას ეუბნებოდნენ?***

– ოჯახი ამ ფაქტის დეტალურ გამოძიებას ითხოვდა. ლეჟავა და მაღალჩინოსნები კი ეუბნებოდნენ, თუ არ გაჩერდებოდნენ, სულიკოზე უარესი რამ დაემართებოდათ. პაატა ლეჟავამ უნდა გვითხრას, ვისი დავალებით დადიოდა ამ გამწარებულ ოჯახში. თუ არავინ ავალებდა და თავისი ინიციატივით დადიოდა, მაშინ თავად აგოს პასუხი.

***– თქვენი აზრით, ის სხვისი დავალებით მიდიოდა ასათიანის ოჯახში?***

– არ ვიცი. ეს კითხვა პროკურატურამ უნდა დასვას. მე ვიცი, რომ პაატა ლეჟავა იყო ზურაბ ადეიშვილთან დაახლოებული პირი. დღეს ეს ადამიანი ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილეა.

***– პროკურატურაში დაბარების შემთხვევაში რა შეიცვლება? თქვენ გჯერათ, რომ მას პასუხისგებაში მისცემენ?***

– შეიძლება არ დასაჯონ, მაგრამ აუცილებლად უნდა დაკითხონ. ლეჟავამ აუცილებლად უნდა თქვას, ვისი დავალებით დადიოდა ასათიანის ოჯახში. როგორც უკვე გითხარით, ის იქ მარტო არ მიდიოდა. ამის შესახებ სულიკო ასათიანის ოჯახის წევრებს ჩვენებაც აქვთ მიცემული. ისინი აცხადებენ, რომ ხდებოდა მათი დატერორება. ამის ჩამდენი კაცი დღეს პარლამენტშია და მაღალი თანამდებობა უკავია. სანამ პარლამენტში ჩემ გვერდით კრიმინალები იქნებიან, ვერ ვიტყვი რომ სამართლიანობა აღდგა.

***– ამბობთ, კრიმინალებიო და სხვა კოლეგების მიმართაც გაქვთ პრეტენზიები?***

– პარლამენტის წევრების კრიმინალური წარსული არ შემისწავლია. მე ვიცი, რას აკეთებდა პაატა ლეჟავა და პროკურატურას მასთან კითხვები უნდა ჰქონდეს.

***– მისი დაკითხვა თქვენ ადრეც ხომ მოითხოვეთ?***

– კი ბატონო, მოვითხოვე. ჩავატარე ბრიფინგი და მივმართე მთავარ პროკურორს. ამ ბრიფინგიდან მოკლე ხანში მთავარი პროკურორი შეიცვალა. იმედი მაქვს, ახლა მაინც მოიცლის პროკურატურა. პროკურატურას სხვა დეპუტატებთანაც უნდა ჰქონდეს კითხვები.

***– მაინც ვისთან?***

– გადახედეთ პარლამენტის შემადგენლობას და გამოიცნობთ. პარლამენტის რამდენიმე წევრი მინისტრის პოსტზე იყო. მათთან დაკავშირებით მაშინვე არსებობდა უამრავი პრეტენზია. ასე რომ, მათ აუცილებლად უნდა დაუსვას პროკურატურამ კითხვები. მერე რა, რომ დეპუტატები არიან. დააშავეს? კეთილი ინებონ და კითხვებს პასუხები გასცენ. პარლამენტი კრიმინალების თავშესაფარი არ უნდა იყოს. ახლა, სამწუხაროდ, ასეა. ძალიან დიდ დისკომფორტს ვგრძნობ, როცა პარლამენტში კრიმინალების მომღიმარ სახეებს ვხედავ.

***– საინტერესოა, „ქართული ოცნების“ სხვა წევრებიც თუ განიცდიან დისკომფორტს მათთან გვერდით ჯდომის გამო?***

– მე სხვაზე პასუხს ვერ ვაგებ. ჩემს დამოკიდებულებას კი არავითარ შემთხვევაში არ დავმალავ. ასევე იქცევა რამდენიმე ჩემი კოლეგა უმრავლესობიდან. სხვებს, ეტყობა, რაღაც ბოჭავს, ან მათთვის არაფერი დაუშავებიათ ნაციონალებს და ამიტომ არიან მშვიდად. მე საკუთარ ტყავზე ვიწვნიე მათი ქმედებები. 2007 წლის 7 ნოემბერს მოვიწამლე და ღუდუშაურის საავადმყოფოში მიმიყვანეს. აქტიურად ვმონაწილეობდი 2009 წლის აქციებში, სადაც მივიღე დაზიანებები. ჩემს დაზიანებას ვინ ჩივის, ჩემს მეუღლეს დაურეკეს და დაემუქრნენ, რომელიც იმ დროს ფეხმძიმედ იყო.

***– თქვენს მეუღლეს რატომ დაემუქრნენ?***

– იმიტომ, რომ მე აქციებზე დავდიოდი. ამ მუქარის ზართან დაკავშირებით პროკურატურაში სარჩელი შევიტანე. გამოძიებით დადგინდა, რომ ჩემს მეუღლეს იმ ბინიდან დაურეკეს, სადაც 20 წელია არავინ არ ცხოვრობდა. არც 2011 წლის 26 მაისს მომკლებია ცემა. იმ ღამეს ასეულობით დასახიჩრებული ადამიანი შევიყვანე რესპუბლიკურ საავადმყოფოში. როცა ეს ბატონები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ეროვნული ზარაფხანის დირექტორი ვიყავი. ერთი წლის მანძილზე ჩემზე გამალებული ნადირობა ჰქონდათ გამოცხადებული. კახა ბენდუქიძემ კი ტელევიზიით თქვა, დათო ლორთქიფანიძის თანამდებობიდან გათავისუფლება არის ჩემი პოლიტიკაო. მე ვნახე მათი ნამდვილი სახე და, შესაბამისად, მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობა არ შემიძლია.

***– იმედია, არც დაგაძალებთ ვინმე.***

– ვინ უნდა დამაძალოს? როგორ შეიძლება კრიმინალებთან თანამშრომლობა ვინმემ მომთხოვოს? ესენი არიან ჩვეულებრივი კრიმინალები. უბრალოდ, ბევრი ფული აქვთ და კარგად აცვიათ. პარლამენტის შენობაში კრიმინალების ადგილი არ არის, მათ უფრო სხვა დაწესებულება შეეფერებათ. მათგან რაც შეიძლება მალე უნდა გავთავისუფლდეთ.

***– როგორ უნდა გათავისუფლდეთ მათგან, წითელ ბარათს ვერ აჩვენებთ. ერთადერთი გამოსავალი რიგგარეშე არჩევნებია, რომლის ჩატარებაც არავის არ უნდა. გამონაკლისი თქვენ და სოსო ჯაჭვლიანი ხართ.***

– რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა საკმაოდ რთული პროცედურაა. ბევრი შესაძლოა მისთვის მზად არც კი იყოს.

***– თქვენ მზად ხართ?***

– მე ყოველდღე მზად ვარ რიგგარეშე არჩევნებისთვის. ადამიანი როცა პოლიტიკაშია, ის ყოველდღე არჩევნებისთვის უნდა იყოს მზად. კარგი იქნება თუ ასეთი არჩევნები ჩატარდება. ამ შემთხვევაში ნაციონალებს პარლამენტში მოხვედრის შანსი აღარ ექნებათ.

***– პარლამენტში მოხვედრაზე მეტი მიზნები აქვთ მათ, ისინი ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებენ.***

– რანაირად უნდა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში ნაციონალები, გამორიცხულია. მათ ხალხი აღარ დაუჯერებს.

***– ისინი დარწმუნებული არიან, რომ ხალხს დიდი რაოდენობით გამოიყვანენ ქუჩაში.***

– მათ დაძახილზე არავინ არ გამოვა. ეს შარშანაც ნათლად გამოჩნდა. არადა, რამდენი ხანი ემზადებოდნენ იმ აქციისთვის. თავად აქციების გამართვაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. აქციები ყველა ქვეყანაში იმართება. დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია. აქ თუ აქციები გაიმართა, ნაციონალებს ვურჩევ, ხალხს ახლოს არ გაეკარონ.

***– რატომ არ უნდა გაეკარონ?***

– იმიტომ, რომ თავს რისხვას დაიტეხენ. ხალხს იმდენი რამე დაუშავეს, რომ პასუხს აუცილებლად მიიღებენ. მათ მიერ მოწყობილ აქციაზე კი არავინ მივა. ხალხი შესაძლოა ხელისუფლების ქმედებებით უკმაყოფილო იყოს, მაგრამ მათ მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერენ. ან როგორ შეიძლება ხალხმა კრიმინალურ დაჯგუფებას დაუჭიროს მხარი? ნაცმოძრაობა არის კრიმინალური ბანდა, რომელიც, რაც არ უნდა ეცადოს, ოპოზიციური პარტია ვერ გახდება.

# სოსო შატბერაშვილი: „არ შეიძლება, კრიმინალებს თავზე ხელი გადავუსვათ“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ მემარცხენე ალიანსის თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილთან

***— კრიმინალური ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა. ამ კვირაში რამდენიმე შემზარავი დანაშაული მოხდა როგორც თბილისში, ისე სხვა რეგიონებში. ხელისუფლება გვამშვიდებს, რომ სტატისტიკურად მდგომარეობა არ გაუარესებულა. თქვენ რას უკავშირებთ კრიმინალის ასეთ გააქტიურებას?***

— სტატისტიკა კარგად შეინახოს ჩვენმა ხელისუფლებამ. მოკლულების მშობლებსა და ახლობლებს სტატისტიკა ვერ დაამშვიდებს. დანაშაული მოითხოვს უსწრაფეს გახსნას და დაზარალებულები — სიმართლის დადგენას. სანამ ეს ვითარება არ მოწესრიგდება, არც ჭიკაიძეს, არც ღარიბაშვილსა და არც ივანიშვილს არა აქვთ უფლება, ღამე მშვიდად იძინონ. თუ სტატისტიკა ისეთივე დონეზეა, როგორზეც იყო ნაცმოძრაობის დროს, მაშინ რისთვის შეცვალა ხალხმა ხელისუფლება? ხალხის მოთხოვნა იყო, რომ კრიმინოგენური ვითარება გაუმჯობესებულიყო, უმუშევრობაც უნდა მოსპობილიყო, სხვა დაპირებებიც უხვად გვესმოდა.

***— ივანიშვილი, გახსოვთ, ამბობდა, კრიმინალური ვითარების გამწვავებას გაგებით უნდა მოეკიდოთო, რადგან საყოველთაო ამნისტია გამოაცხადეს და ათასი ჯურის დამნაშავე გარეთ გამოყარეს. თუმცა, ვნახეთ, რომ ამნისტიამ, პირიქით, ვითარება კი არ გააუმჯობესა, არამედ დაამძიმა. რაშია, თქვენი აზრით, გამოსავალი?***

— არ ვუსურვებ ივანიშვილის ოჯახის წევრებს არაფერს ცუდს, მაგრამ ერთი წუთით მაინც წარმოიდგინოს ივანიშვილმა, მის ახლობლებს რომ საფრთხე დაემუქროს, რას იზამს. ამის შემდეგ, ვნახოთ, გაგებით მოეკიდება ამას თუ არა. როგორც ჰუმანური ადამიანი და პოლიტიკოსი, როგორ შეიძლება, ამნისტიის წინააღმდეგი ვიყო. ამნისტირებული უნდა ყოფილიყვნენ მსუბუქი დანაშაულისთვის დასჯილი პირები. ნარკომოვაჭრეები, მკვლელები, პედოფილები, მოძალადეები, სუტენიორები ასეთი კატეგორიის დამნაშავეების გაშვება კატეგორიულად მიუღებელია. მათ ციხეშიც არ უნდა ჰქონდეთ შერბილებული მდგომარეობა. მკაცრად უნდა დაისაჯონ ის პირები, ვინც ხელყო სხვა ადამიანის სიცოცხლე, სულ პატარა ბავშვი დააუთოვეს იმიტომ, რომ ფული გამოეძალათ მისი მშობლებისთვის, ასეთი ხალხის შეწყალება როგორ შეიძლება. თუმცა, ზოგადად, შეწყალების მომხრე ვიყავი.

***— ნაცმოძრაობა ძალადობას ძალადობით პასუხობდა და ამ მეთოდით ებრძოდა კრიმინალს, ეს ხელისუფლება კი ჰუმანურ რელსებზეა გადაწყობილი. როგორ ფიქრობთ, ამ მეთოდებიდან რომელი უფრო ეფექტურია?***

— პირადად შევხვდი ისეთ ადამიანს, რომელიც ციხეში იჯდა მხოლოდ იმიტომ, რომ ძროხის პატრონს შეაგინა. ძროხას შეაგინა, შენი პატრონიო. ასეთ ახალგაზრდას მიუსაჯეს ოთხი წელი. ეს წარმოუდგენელი სისასტიკეა. დიდი დანაშაულია სასჯელის შეკრებითობა, ადამიანები სამოცდაათი, ოთხმოცი წელი სხედან. მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავიდეთ და არ შეიძლება, კრიმინალებს თავზე ხელი გადავუსვათ. კოჰაბიტაციის დროს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სააკაშვილი და მეოცნებე ხელისუფლება, ვინ რამდენ პატიმარს შეიწყალებდა. ამან კი ქვეყანაზე იმოქმედა ცუდად. უცხოეთშიც ქართველები საშინელ დანაშაულებს ჩადიან. ბრძოლის მეთოდია გამკაცრება და მეორეც – უმუშევრობასთან ბრძოლა. როცა ადამიანი უმუშევარია, ის ისეა გამწარებული, რომ ყველაფერზეა წამსვლელი. დასაქმებულ ადამიანს არ სცალია დანაშაულის ჩადენისთვის.

***— სულ ახლახან მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მარგველაშ-***



***ვილმა მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები შეიწყალა, მათ შორის ოჯახის წევრი, მეგობარი ქალის ძმა, რომელიც ციხეში სასჯელს იხდიდა მკვლელობისთვის. როგორ ფიქრობთ, შეწყალების კომისიამ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების სახით უნდა გამოაქვეყნოს შეწყალებულ პატიმართა გვარები?***

— აუცილებლად და არა მარტო უნდა იცოდეს, არამედ საზოგადოება ფართოდ უნდა იყოს ჩართული შეწყალების პროცესში. პატიოსანი ადამიანები უნდა მონაწილეობდნენ ამ საქმეში. შეწყალების კომისია დახურულ სხდომებს მართავს, ჩუმად ხდება შეწყალება. კონსტიტუციით მარგველაშვილს აქვს იმის უფლება, რომ ოჯახის წევრიც შეიწყალოს და სხვაც, მაგრამ მორალური ვალდებულებაც არის.

***— მარგველაშვილს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ეს საქმეები. იქნებ იყოს საჭირო კომისია, რომელიც გადასინჯავს მის გადაწყვეტილებებს?***

— კომისიის კომისია საჭირო არ არის, შეწყალების კომისიაში უნდა იყვნენ ხალხიდან წამოსული ადამიანები.

***— სააკაშვილის ვოიაჟებზე რას იტყვით? ახლახან საბერძნეთში თითქოს მისი იახტა დააკავეს, მაგრამ ინფორმაციას, რომ თავად სააკაშვილი იყო დაკავებული, როგორც საერთაშორისო ძებნილი, მისი ადვოკატი არ ადასტურებს. პროკურატურას აქვს რაიმე მტკიცებულებები, რომ საერთაშორისო ძებნა გამოაცხადოს ყოფილი პრეზიდენტის მიმართ?***

— საფუძველიც აქვს და მტკიცებულებებიც ექნება. მისი დანაშაულები რომ ერთად შეგროვდეს, ათასი წელი გამოუვა სასჯელის მოხდის ვადა. სააკაშვილი დასცინის ხელისუფლებას, მოისმინეთ, ალბათ, ალბანეთის პრემიერ-მინისტრის სასახლიდან როგორ დასცინა ჩვენს ხელისუფლებას, როგორ ჩამოვიდა სარფში და გამართა იქ შეკრება მთავრობის სხდომის მსგავსი. თუ მისი დაკავების თავი ამ ხელისუფლებას არა აქვს, არც უნდა გამოაცხადოს საერთაშორისო ძებნა მასზე. მისი დაკავების სურვილი რომ ჰქონოდათ, აქედან არ უნდა გაეშვათ. ივანიშვილის სიტყვებს გაგახსენებთ არჩევნებამდე, როგორც კი მოვიპოვებთ უმრავლესობას პარლამენტში, თუ სააკაშვილი ნებით არ გადადგება, მაშინ დავიწყებთ იმპიჩმენტის პროცედურასო. არჩევნების შემდეგ კი ივანიშვილმა თქვა, ვიკითხე დასავლეთში და მითხრეს, სააკაშვილის დაპატიმრება სასურველი არ არის დასავლეთისთვის, ამიტომ იმპიჩმენტი არ იქნებაო.

***— პროკურატურაში დასაკითხად დაარბენინებენ დავით ბაქრაძეს. მეტ-ნაკლებად წესიერ ადამიანად არის ცნობილი, ნაცმოძრაობაში მას იმაზე მეტი არ დაუშავებია, რაც დააშავეს კეზერაშვილმა, მერაბიშვილმა, უგულავამ, სააკაშვილმა. ბაქრაძისგან რაღა უნდათ?***

— ბრიტანულ ბანკში აქვს რაღაცა ანგარიში, სასაცილო თანხაზეა საუბარი, ნახევარი მილიონი ლარია. ამდენი თანხა ნაცმოძრაობის ლიდერებს ჰქონდათ ორ-სამ თვეში ნაშოვნი. კოლოსალური თანხები აქვთ, მაგრამ ბაქრაძე სხვებთან შედარებით კიდევ წესიერია. რატომ არ იბარებენ გივი თარგამაძეს, ხათუნა გოგორიშვილს, რომელმაც არჩევნები არაერთხელ გააყალბა? ეს ვინმეს ნაკლები დანაშაული ჰგონია? მამუკა ხაზარაძეს, ვანო ჩხარტიშვილს რატომ არ იბარებენ პროკურატურაში? ამ ორმა თაღლითმა გაძარცვა მთელი მოსახლეობა, ჩვენი ანაბრები მიითვისეს, ბანკები გახსნეს და კანარის კუნძულებზე აქვთ ვილები. რას ჩააცივდნენ ბაქრაძეს? იმიტომ ჩააცივდნენ, რომ, სხვებთან შედარებით, წესიერი ადამიანია. იმდენია ნაცმოძრაობაში დაუყოვნებლივ დასაპატიმრებელი, მათი საქმე ათეულ ტომებს დაიტევს.

***— მამუკა ხაზარაძე და ვანო ჩხარტიშვილი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან მოდიან და აქვთ ბიზნესი. ყოველთვის სასათბურე პირობებში არიან. ივანიშვილი არაერთხელ შეხვდა ბანკების ხელმძღვანელებს. რატომ იმართებოდა ასეთი შეხვედრები?***

— ყველა მთავრობა საქართველოში ცდილობდა, საკუთარი ინტერესი ჰქონოდა დიდ ბიზნესმენებთან. ბევრმა იცის, რომ ანაბრები და დანაზოგები იყო ხალხისა. დაკარგული და გაფლანგული დასამარხი ფული დაუკარგეს ადამიანებს, ამიტომ არიან ისინი შეკედლებულნი ყველა მთავრობასთან. დანაშაული აქვთ ჩადენილი. ყველა ხელისუფლება მათ დიდ ფულს ართმევს და შემდეგ მფარველობს. საარჩევნო კამპანიისა თუ სხვა მიზნებისთვის უხვად გასცემენ თანხებს, ოღონდ პასუხი არ მოეთხოვოთ დანაშაულისთვის. თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკიდან თოთხმეტში ნაწილობრივ მაინც მოხდა ანაბრების დაბრუნება, გარდა საქართველოსი. ამ თაღლითებს შერჩათ ეს დანაშაული.

***— პარლამენტარები აქეთ-იქით დადიან ქუთაისიდან თბილისში. საბოლოოდ სად უნდა იყოს პარლამენტის ადგილი?***

— თუ თბილისი ნამდვილად არის საქართველოს დედაქალაქი, მაშინ პარლამენტმა თბილისში უნდა იმუშაოს. კომიკური ფორმა აქვს პარლამენტის აქეთ-იქით გადატანას.

***— იქნებ ივანიშვილმა საზოგადოებას აუხსნას, რას აპირებს და საით მიდის ქვეყანა?***

— ივანიშვილი ლამის ქართველი დენსიაოპინი გახდა, თუმცა ის ასოცირდება ეკონომიკურ აყვავებასთან. ივანიშვილმა ესეც არ მოგვიტანა, დენსიაოპინს არანაირი თანამდებობა აღარ ეკავა ბოლოს ჩინეთის კომპარტიაში, მაგრამ მმართველი იყო. ივანიშვილი შუშის სასახლეშია ჩაკეტილი და ასე მართავს ქვეყანას. მეეჭვება, რომ ივანიშვილი დაბრუნდეს მთავრობაში, მაგრამ მან საქართველოს მოსახლეობას ბოდიში უნდა მოუხადოს მარგველაშვილის თავს მოხვევისთვის. ძალაში შევიდა ანტიხალხური, ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება რეცეპტების შემოღების შესახებ. დიდი აღშფოთება გამოიწვია რიგით ადამიანებში, ასევე ექიმებში. რადგან მთავრობაზე ვსაუბრობთ, ჩემი პარტიის სახელით მოვითხოვ, გაუქმდეს ეს გადაწყვეტილება.



## გიორგი კვირიკაშვილი: „კაზანტიპმა არ გაამართლა“

კაზანტიპი მდარე ხარისხის ფესტივალია, რომელმაც არ გაამართლა. – ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. მან არ იცის, გაგრძელდება თუ არა მომავალში ეს ღონისძიება.

„ვერ გეტყვით, გაგრძელდება თუ არა მომავალში კაზანტიპი. საქართველოს მეტი შესაძლებლობა აქვს, ანაკლიაში გაცილებით ხარისხიანი ფესტივალი ჩაატაროს. ამ ღონისძიებისაგან მოლოდინი ცალკეული პიროვნებების მიერ გაბერილი და გაზვიადებული იყო, რაც არასწორია. იმაზე, თუ რამდენად გაამართლა ან არ გაამართლა ამ ფესტივალმა, მსჯელობა რთულია“,. – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება ჟურნალისტების შეკითხვას, დაუჭერს თუ არა მხარს ეკონომიკის სამინისტრო მომავალ წელს კაზანტიპის ჩატარებას, მინისტრი მიიჩნევს, რომ ამ ფესტივალს განსაკუთრებული როლი არ უნდა მიენიჭოს.

„რა თქმა უნდა, ეს გემოვნების საკითხია. კაზანტიპი მაღალი ხარისხის ფესტივალი არ არის. სახელმწიფოს შეუძლია ზღვისპირეთის ტურიზმი სხვა კუთხით წაახალისოს და სხვანაირად დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ამაში მონაწილეობის სურვილი აქვს. კაზანტიპი მდარე ხარისხის ფესტივალია, რომელმაც არ გაამართლა და ადგილობრივ კულტურაში ფეხი ვერ მოიკიდა. ამასთან დაკავშირებით უკეთესი გაანგარიშება უნდა მომხდარიყო“, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

**მედიანიუსი**

## თეა წულუკიანი: „დანაშაულის მთლიანად აღმოფხვრის ილუზია ნურავის ექნება“



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, დანაშაულის მთლიანად აღმოფხვრის ილუზია ნურავის ნუ ექნება, იმიტომ რომ კრიმინალი ყველა ქვეყანაში არსებობს. ამის შესახებ მან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

„დღეს კრიმინოგენური მდგომარეობა, როგორც შესაბამისი უწყებების და პრემიერის მიერ ბევრჯერ ითქვა, სტაბილურია. ჩვენთვის და ჩვენი მთავრობისთვის მთავარია, რომ როდესაც დანაშაული ხდება, ეჭვმიტანილი რაც შეიძლება სწრაფად იქნეს დაკავებული. როდესაც დამტკიცდება, რომ პირი არის დამნაშავე და სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა, სასჯელი უნდა იყოს მკაცრი და ადეკვატური“,-განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის თქმითვე, ასევე, აუცილებელია პრევენციული ზომები.

**ნიუსპრესი**

## კახა კალაძე: „იარაღის შენახვა-ტარებასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრება აუცილებელია“



ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე მიიჩნევს, რომ იარაღის შენახვა-ტარებასთან დაკავშირებით, კანონის გამკაცრება აუცილებელია.

ამის შესახებ მან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენულ სიტუაციასთან დაკავშირებით კომენტირებისას განაცხადა.

„ძალიან ბევრი ფაქტია, როდესაც ადამიანების დაკავება ხდება, რომლებიც იარაღით გადაადგილდებიან და შემდეგ, სასამართლოს მიერ, საპროცესო შეთანხმების შედეგად, მათ ათავისუფლებენ. ამ მიმართულებით კანონი უნდა გამკაცრდეს“, – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

**ნიუსპრესი**

## დავით სერგეენკო: „მედიკამენტების რეცეპტით გაცემის პროცესი აბსოლუტურად მშვიდად მიმდინარეობს“



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ინფორმაციით, მედიკამენტების რეცეპტით გაცემის პროცესი აბსოლუტურად მშვიდად მიმდინარეობს.

როგორც მან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, ამ მიმართულებით, 500-მდე სამედიცინო დაწესებულების მონიტორინგი მიმდინარეობს, რომლის შედეგები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

„1 სექტემბრამდე პერიოდში, დაახლოებით ორი კვირა, მოსახლეობის მხრიდან მართლაც სერიოზული მღელვარება და უკმაყოფილება იყო. აქ რამდენიმე ფაქტორი იყო და ვფიქრობ, რომ ზოგიერთი აფთიაქის მიერ გაგზავნილმა სმსებმაც შეასრულა გარკვეული როლი, როდესაც მოსახლეობას წამლების მარაგების შექმნისკენ მოუწოდებდნენ. თუმცა, 1 სექტემბრიდან დღემდე, 500 სამედიცინო დაწესებულებაში გვყავს გაშვებული მონიტორები და პროცესი აბსოლუტურად მშვიდად მიმდინარეობს“, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან მოსახლეობას, 3 000-ზე მეტი დასახელების მედიკამენტის შესაძენად რეცეპტი სჭირდება.

რეცეპტი მკურნალი ექიმის მიერ, №3 ფორმაზე იწერება, რომლის წარდგენა პაციენტს ნებისმიერ აფთიაქში შეუძლია. თავისუფალ გაყიდვაში კი, 4 500-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი რჩება, რომელთა შესაძენადაც, მოსახლეობას რეცეპტი არ ესაჭიროება.

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გოგა ხაინდრავა: „რუსეთთან ომში არ უნდა ჩაგვითრიონ“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აფასებს:**

***— ბატონო გოგა, ბოლო დღეებია, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ნიშნის მოგებით ელაპარაკებიან საზოგადოებას. ეს იმ დანაშაულის მატების ბრალია, რომელიც ასე გაიზარდა ქვეყანაში?***

— მე აბსოლუტურად არ მაინტერესებს ნაციონალური მოძრაობის პოზიცია და, დარწმუნებული ვარ, საზოგადოების უმრავლეს უმრავლესობასაც ზუსტად ჩემნაირად არ აინტერესებს. ტელევიზიები ცდილობენ, რომ ყველაფერში სკანდალი და დაპირისპირება ეძებონ. ნაციონალური მოძრაობა რას ლაპარაკობს, საზოგადოებას კი არა, მათი ოჯახის წევრებსაც კი აღარ აინტერესებთ. მეორეც, მე ვერ ვხედავ კრიმინალის მატებას. არანაირი კრიმინალის მატება ქვეყანაში არ არის. სამწუხაროდ, ხდება ასეთი შემთხვევები და ამ შემთხვევებისგან მცდელობას ვხედავ, რომ ბევრი მათგანი იმაზე მეტად იყოს გაბუქებული. კრიმინალი მარტო საქართველოში კი არა, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არის, იყო და იქნება, რადგან ამის პანაცეა ჯერ არავის მოუგონია, როგორ შეიძლება ამის თავიდან აცილება. საქართველოშიც ყოველთვის იყო და, სამწუხაროდ, იქნება კიდეც. საერთოდ, კაცობრიობა ამით დაიწყო, რომ კაენმა თავისი ძმა კაენი მოკლა და იმის მერე ადამიანები, როგორც წესი, ერთმანეთს კლავენ. ამიტომ განსაკუთრებული არაფერი ხდება. როგორც წესი, როცა სხვა თემები არა აქვთ პოლიტიკურ სპეკულანტებს, იწყება თითიდან ამოწოვილი თემების გაპიარება. მე ვფიქრობ, რომ მსოფლიოში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია საქართველოსთვის, ვიდრე ეს საკითხი და ამაზე უნდა ილაპარაკოს და ამაზე უნდა იფიქროს საზოგადოებამ. ცეცხლი უკიდია უკრაინას და რუსეთმა, ასე ვთქვათ, ყველა არსებულ ზღვარს გადააბიჯა თავის მოქმედებაში და ამან შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გავლენები მოახდინოს ჩვენს ქვეყანაზეც, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მიდის. ლაპარაკი მიდის იმაზე, რაზეც ნაციონალები ლაპარაკობენ. ეს არაპროფესიონალიზმი და საკითხებში ღრმად ჩახედვის უუნარობა მართვადი თემების წინა პლანზე წამოწევას უწყობს ხელს. ნაციონალური მოძრაობა ამას ლაპარაკობს და, არიქა, შევქმნათ ამისგან აჟიოტაჟი. ვისაც ამის სურვილი აქვს, ის ამას აკეთებს. მე მაგის სურვილი ნამდვილად არა მაქვს. არც ამ თემებზე სერიოზულად ლაპარაკს არ ვაპირებ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ადრე არ შუქდებოდა ამ სიხშირით, თუ რა რაოდენობის კრიმინალი ხდებოდა და დღეს ამიტომ ჩანს მომატებული?***

— რა თქმა უნდა, ასეა, იმიტომ რომ კრიმინალის არანაირი ზრდა ქვეყანაში არ არის. ეს ყველასთვის ცნობილია. ვის ვის და ნაციონალებს ამაზე ლაპარაკის უფლება ნამდვილად არ აქვთ. სხვა წლების სტატისტიკაც შეგიძლიათ ნახოთ და ზაფხული, როგორც წესი, ყოველთვის გამოირჩევა ასეთი შემთხვევებით. ეს არის თავისებურება ამ ქვეყნის, ამ ქალაქის და ამ საზოგადოების ცხოვრების. ახლა თუ გვინდა, რომ ეს ვაქციოთ სენსაციად და მხოლოდ ამის გარშემო ვილაპარაკოთ, ვიღაცას ეს სჭირდება, მე ვფიქრობ, რომ ქართველ საზოგადოებას — ყველაზე ნაკლებად.

***— თქვენ ბრძანეთ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თემებია ჩვენ გარშემოო. მოდით, ამ თემებსაც შევეხოთ. რაც შეეხება უკრაინას, ითქვა, რომ ჩვენი ჯარისკაცები მიემგზავრებიან უკრაინაში, ითქვა ისიც, რომ ეს, უბრალოდ, დაგეგმილი წვრთნებია, თუმცა საზოგადოება ეჭვისა და შიშის თვალით უყურებს ყოველივე ამას...***

— ჩვენი ჯარისკაცები იქ არ მიემგზავრებიან, იქ მიემგზავრებიან ვოლონტიორები, კერძო პირები. ჩვენი ჯარისკაცების უკრაინაში ყოფნა არა მგონია, მაინცდამაინც სწორი იყოს. ამ შემთხვევაში ეს არ იქნებოდა ლეგალური და სწორი. იქ ცალკეული პირები მიდიან და მე რამდენადაც ვიცი, ძალიან მცირე რაოდენობის. მე ვფიქრობ, რომ საქართველო საერთოდ ცალსახად უკრაინის მხარდამჭერი და მისი მეგობარი ქვეყანაა და ნებისმიერი ჩვენი მოქალაქე ძალიან განიცდის იმას, რაც ხდება უკრაინაში. ეს აბსოლუტურად ბუნებრივია. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს უკრაინის მხარდაჭერა. მე, მაგალითად, ძალიან კარგად მახსოვს, 1993 წელს და ეს არაერთხელ აღმინიშნავს, როდესაც აფხაზეთიდან დევნილები იყინებოდნენ სვანეთის უღელტეხილებზე, ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც მაშინ დახმარების ხელი გამოგვიწოდა, უკრაინა იყო. 25 ვერტმფრენი გადმოაგზავნა და ასობით და ათასობით ადამიანი და განსაკუთრებით ბავშვები გადაარჩინა მაშინ. ეს არასოდეს დაგვავიწყდება. მერეც, საერთოდ, უკრაინელები ყოველთვის გვერდში გვედგნენ, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართველ საზოგადოებაში არის ხალხი, ვინც თავის მოვალეობად ჩათვალა უკრაინელების გვერდზე დგომა ამ



გაჭირვების ჟამს. ამას ყველა აკეთებს, აკეთებს ისე, როგორც შეუძლია. ზოგი ფიზიკურად, ზოგი სულიერად, ზოგი მედიცინის თვალსაზრისით, რამდენადაც მე ვიცი, იქ გაგზავნილი გარკვეული სამედიცინო ჯგუფები და ასე შემდეგ. რაც შეეხება იარაღით გვერდზე დოგმას, მე ვფიქრობ, ეს ყველა კერძო პირის არჩევანია და ამ დროს რამდენად ლეგალურია, ამაზეც ვერაფერს გეტყვით.

***— ძალიან ხშირად გვესმის შეფასებები, რომ მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართველების ჩათრევა ამ ომში და რომ ეს ჩვენთვის ფატალური შედეგებით დასრულდება...***

— არა, ქართველების ჩათრევა ამ ომში არ მიმდინარეობს. ქართველები არ ერთვებიან ამ ომში. თუმცა მცდელობა პროვოკატორების მხრიდან და პირველ რიგში ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, ამისი არის. იმიტომ რომ ამ ხალხს სძულს ეს ქვეყანა და ამათი ამოცანა და ამათი სურვილებია, დაიფერფლოს ეს ქვეყანა, რაც შეიძლება უარესი დაემართოს, იმიტომ რომ სხვა სურვილები და სხვა ზრახვები არც ადრე ჰქონდათ და არც ახლა აქვთ. ამიტომ ეს მცდელობები არ არის, ეს არის ბწკენები, კოლოს ნაკბენები ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. თუმცა კარგად დაფინანსებული, კარგად გაპიარებული, მსგავსი ტიპის პროვოკატორები ევროპაშიც საკმარისი არიან და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სამწუხაროდ. მართალია ისინი ძალიან დიდ უმცირესობაში არიან, მაგრამ არსებობენ. ამისთვის ფინანსებიც არსებობს და საერთოდ ეს მიღებული მეთოდია და მიღებული ფორმაა, როდესაც ხდება პროვოცირება ამა თუ იმ საკითხის და ამ შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობა მშვენივრად ასრულებს ამ პროვოკატორების როლს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. მადლობა ღმერთს, რომ ქართველ საზოგადოებას დიდი გამოცდილება დაუგროვდა ამ თვალსაზრისით და არ აყვა და არც აყვება არასოდეს. თუმცა ისევ ვიმეორებ, ჩვენ ყველანი მზად ვართ, რომ თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც კი გავიღოთ იმისთვის, რომ უკრაინელ ხალხს დავეხმაროთ. ჩვენ მათ გვერდზე ვდგევართ და ეს არის აბსოლუტურად ცალსახა. ამას ხაზგასმა, ქუჩებში სირბილი და დროშების ფრიალი არ სჭირდება, როგორც ამას „თავისუფალი ზონა“ ან სხვა პროვოკატორთა ჯგუფები აკეთებენ. ამას, უბრალოდ, გული უნდა, ამას უნდა მადლიერების გრძნობა, ამას უნდა რწმენა და ეს ყველაფერი ქართველ საზოგადოებას არ აკლია. მე ვფიქრობ, რომ უკრაინელებს ქართველებისგან მხარდაჭერა არ აკლიათ. მორალური, ზნეობრივი და საერთოდ ყველანაირი.

***— სამხედრო მხარდაჭერას რაც შეეხება?***

— რაც შეეხება სამხედრო მხარდაჭერას, აქ მე ვფიქრობ, რომ მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურაა გასათვალისწინებელი და თუ დახმარებაა, ისეთი მძლავრი გაერთიანებები უნდა დაეხმარონ უკრაინას და მე იმედი მაქვს, რომ დაეხმარებიან კიდეც. ამ დღეებში ნატოს სამიტი მიდის და მინდა მჯეროდეს, რომ არა მარტო შეშფოთებით იქნება ამოწურული დასავლეთის დახმარება უკრაინისადმი, არამედ კონკრეტულ დახმარებას ექნება ადგილი, იმიტომ რომ ის რაც ხდება უკრაინაში, ეს არის ინტერვენცია, ეს არის ფართომასშტაბიანი ომი სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებს რუსეთი. ეს არის ტერიტორიის ოკუპაცია და ანექსია, იგივე, რაც ხდებოდა საქართველოში. სამწუხაროდ, ეს არც მაშინ იყო სათანადოდ შეფასებული მსოფლიო წამყვანი პოლიტიკოსების მხრიდან და არც ახლა, იმიტომ რომ პირადი კეთილდღეობა და საკუთარი ინტერესები, როგორც წესი, ჩრდილავს იმ პრობლემებსა და საფრთხეებს, რომლებიც საზოგადოდ არსებობს. არავის ესმის, რომ აგრესორის გაჩერება მოქრთამვით, მოთაფლვითა და მოფერებით შეუძლებელია. აგრესორის გაჩერება შესაძლებელია მხოლოდ ძალით. ამის მსოფლიო ისტორიაში არაერთი მაგალითი არსებობს. თავის დროზე ეგეთი დამოკიდებულება იყო ჰიტლერისადმი, როდესაც ჩეხეთის ნაწილს ნელ-ნელა ურიგებდნენ გერმანელებს, მაგრამ ნაციზმი ამან ვერ შეაჩერა. იგივე იქნება დღესაც. ის უნდა გაჩერდეს ძალიან მტკიცე პოზიციით და უნდა გაჩერდეს ძალისმიერი პოზიციით.

***— ძალისმიერ პოზიციაში რას გულისხმობთ?***

— მე არ ვგულისხმობ იმას, რომ მესამე მსოფლიო ომი უნდა დაიწყოს მსოფლიომ, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა, ეს ომი ისედაც დაწყებულია და მას გაჩერება უნდა. ამ აგრესიის გაჩერება კი მხოლოდ მტკიცე პოზიციით არის შესაძლებელი და არა აღშფოთებითა და შეშფოთებით. თუმცა ეს საქართველომ კი არ უნდა გააკეთოს, ეს უნდა გააკეთონ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებმა და მოწინავე გაერთიანებებმა, პოლიტიკური, სამხედრო თუ სხვა ტიპის.

***— ჯერჯერობით არ ჩანს ის ძალა, რომელიც დღეს რუსეთს დაუპირისპირდება და შეაჩერებს...***

— ყოველ შემთხვევაში, ეს ძალა საქართველო არ არის და ამაში ძალიან კარგად დავრწმუნდით 2008 წლის აგვისტოში, როდესაც დღენახევარში სამარცხვინოდ წავაგეთ ომი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც ამ პროცესების ავანგარდში უნდა იყოს. ჩვენ უნდა ვიყოთ თანხვედრაში მთელ მსოფლიო პროგრესიულ მეგობრობასთან და ვართ კიდევაც. ჩვენ კონკრეტულად თეთრს თეთრი უნდა დავარქვათ და შავს შავი, მაგრამ მგლის ხახაში თავი არ უნდა შევყოთ, იმიტომ რომ ცირკში არა ვართ და ზოოპარკში, სადაც ნაციონალური მოძრაობა ცხოვრობდა. ეგენი მიჩვეული არიან ცირკსა და ზოოპარკს, მგლისა და ნიანგის ხახაში თავის ჩაყოფას და სადამდე მიიყვანა საქართველო ამ ცირკმა და ზოოპარკმა, ყველამ კარგად ვნახეთ. ახლა მე იმედი მაქვს, რომ ის პირველი ნაბიჯები ცივილიზებული ცხოვრებისა და ცივილიზებული ურთიერთობების, რომელზეც ამჟამინდელი ხელისუფლება დგას, არის საკმაოდ გონივრული და, იმედი მაქვს, რომ ჩვენ გავყვებით ამ გონიერების გზას.

***— თქვენ ნაციონალები და მათი პროვოკაციები ახსენეთ. რამდენად საშიში ძალაა დღეს ნაციონალური მოძრაობა და თუ უქმნის საფრთხეს ქვეყნის მომავალს?***

— საშიში ძალა ჩვენ თვითონ ვართ დღეს და, პირველ რიგში, ეს არის ანგაჟირებული მედია, რომელიც ცდილობს ნაციონალების რეანიმაციას. სწორედ ანგაჟირებულ პრესას სჭირდება დღეს ნაციონალური მოძრაობის არსებობა. არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობა. საფრთხეს ჩვენ თვითონ წარმოადგენთ ჩვენი თავისთვის, მაშინ როდესაც არარაობებიდან ვქმნით პრობლემებს. დღეს ქვეყანაში ძალიან ბევრი თემაა, რომელიც საზოგადოების განსახილველი უნდა იყოს და უნდა იყოს ყურადღების, განსჯისა და შრომის ობიექტი და არა ის, რას ლაპარაკობენ ეს ყავლგასული პოლიტიკური სპეკულანტები. ეს დამნაშავეები, პოლიტიკური მეძავები, რასაც ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენს.

***— შემოდგომაზე დიდი არეულობისთვის ემზადებიანო...***

— ვინ, ნაციონალები? რისი ამრევები არიან. შემოდგომა დადგა უკვე, სექტემბერია და ამიტომ არანაირი არეულობა არ იქნება. ნაციონალურმა მოძრაობამ ისე აურია საქართველო, რომ ამაზე მეტი მაგათ აღარც უნარი შესწევთ და აღარც პოტენციალი გააჩნიათ. ბუნებრივია, რომ ისინი ყველანაირად შეეცდებიან, ცეცხლი წაუკიდონ ამ ქვეყანას, მაგრამ ჩვენ ასანთი უკვე გამოვართვით ხელიდან. მე თავის დროზე არაერთხელ მითქვამს, რომ ეს გიჟი კაცი დენთის კასრის გარშემო ასანთით ხელში დარბის. მაგათ ბელადს ვგულისხმობ. ჩვენ ეს ასანთი გამოვართვით და ახლა ამ კასრის გარშემო, რამდენიც უნდა, იმდენი ირბინოს. არაფერს საფრთხეს ნაციონალური მოძრაობა ქართველი საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოსთვის აღარ წარმოადგენს. მათ აღარაფრის უნარი არა აქვთ, ლაი-ლაის გარდა და, თუ მაგისი ტირაჟირება არ მოხდება, საერთოდ ყველას დაავიწყდება მათი არსებობა. ნაციონალური მოძრაობა არაფრის მაქნისი ძალაა. ისინი საფრთხეს არ წარმოადგენენ და ვერც ვერანაირ არეულობას ვერ გამოიწვევენ.

## პოლიცია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, თბილისში, წურწუმიას ქუჩაზე, 1994 წელს დაბადებული გიორგი მ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას კუსტარული წესით დამზადებული არარეგისტრირებული რევოლვერი და 8 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## ნინო გიორგობიანი: „ბათუმში ნაცემი ქალბატონის მიმართ ტრეფიკინგის ფაქტი არ დადასტურდა“

ბათუმში, თურქმენეთის მოქალაქის ცემაში ბრალდებულ მამაკაცს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით უკვე წაუყენეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის ინფორმაციით, დაზარალებული ქალბატონი შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის განყოფილების თანამშრომლებმა გუშინწინვე გამოკითხეს, რის შედეგადაც, ტრეფიკინგის ფაქტი არ დადასტურდა.

„აღნიშნულმა ქალბატონმა პასპორტის ჩამორთმევის ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ მისთვის თავისუფლება არავის შეუზღუდია და მის მიმართ რაიმე სახის ექსპლუატაციის ფაქტი არ განხორციელებულა. დაზარალებულ ქალბატონს ასევე, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა, რომლის შედეგედაც, მიღებული დაზიანებების ხარისხი დადგინდება. რაც შეეხება მის ცემაში ბრალდებულ მამაკაცს, მას ბრალი 125-ე მუხლის პირველი ნაწილით უკვე წაუყენეს“ — აცხადებს ნინო გიორგობიანი.

მედიაში გუშინწინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბათუმში, პლაჟზე ადგილობრივი პოლიციელის შვილმა, უცხოელი მეგობარი გოგო სცემა, ხოლო პოლიცის უფროსი მოძალადის დაკავებაზე უარს აცხადებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მეგობარი გოგოს ცემაში ბრალდებული და მისი ოჯახის წევრები პოლიციის თანამშრომლები არ არიან.

**ნიუსპრესი**

## თბილისის საპატრულო პოლიციას სპეციალური დანიშნულების 10 მიკროავტობუსი დაემატა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, თბილისის საპატრულო პოლიციას, სპეციალური დანიშნულების 10 მიკროავტობუსი გადაეცა. სპეციალური დანიშნულების მიკროავტობუსები დედაქალაქში დღეიდან იმოძრავებენ. მიკროავტობუსების დანიშნულება, დედაქალაქში, განსაკუთრებულ და ექსტრემალურ სიტუაციებში, საპატრულო პოლიციის მობილური ჯგუფების გადაყვანა და გადაადგილება იქნება.

შსს-ს ინფორმაციით, სპეციალური დანიშნულების მიკროავტობუსები მთლიანად აღჭურვილია ყველა საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და სპეციალური საშუალებებით. აღნიშნული მიკროავტობუსებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები თბილისში პატრულირებასაც განახორციელებენ.

**ნიუსპრესი**

## მელნიკოვი ციხეს ახალ წლამდე დატოვებს



კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ) ყოფილი თანამშრომელი ოლეგ მელნიკოვი, სასჯელაღსრულების დაწესებულებას ახალ წლამდე დატოვებს. თბილისის საქალაქო სასამართლომ, დღეს, საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით, პროკურორ ირაკლი ნადარეიშვილის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

პროკურატურის განცხადებით, მელნიკოვმა გამოძიებასთან ითანამშრომლა და დანაშაული აღიარა, რითაც მართლმსაჯულების განხორციელებას შეუწყო ხელი. მელნიკოვს სანდრო გირგვლიანის საქმეში სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება და თავისუფლების უკანონო აღკვეთა ედება ბრალად.

**ნიუსპრესი**

# უკრაინული გარღვევა უელსში

## პრეზიდენტი პოროშენკო ნატოს სამიტზე ჩავიდა

ნატოს სამიტს უელსში ექსპერტებმა ისტორიული უწოდეს. მართლაც, „ცივი ომის“ შემდეგ ეს ალიანსის წევრთა პირველი შეკრებაა, სადაც რუსეთის აგრესიის განეიტრალებაზე მსჯელობენ. რუსეთის უკრაინაში შეჭრა სამიტის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი გახლდათ, მეორე — ისლამისტთა მზარდი აქტიურობა ერაყში.

### ომი დონბასში

სამიტს წინ ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადება უძღოდა: „რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ასეთი რამ მე-21-ე საუკუნეში კატეგორიულად მიუღებელია“. ამ სიტყვებმა კრემლი გააღიზიანა. ცეცხლზე ნავთი დაასხა იმანაც, რომ სამიტზე პრეზიდენტი პოროშენკოც მიიწვიეს:

— თუკი ნატოს სურს, უკრაინა თავის მოკავშირედ გაიხადოს, ერთ პატარა წვრილმანზე უნდა დაფიქრდეს: უკრაინა ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფოა, რომელიც სულ მალე დაიშლება, — განაცხადა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ.

სამიტის გახსნის დღეს რუსული არმია დონბასში მასშტაბურ შეტევაზე გადავიდა. დაიწყო დებალცევოს იერიში. მალე სეპარატისტებმა შემდეგი ინფორმაცია გაავრცელეს:

— დებალცევო უკრაინელი ძალოვნებისაგან გათავისუფლებულია! მიმდინარეობს გაწმენდითი ოპერაციები!

როგორც ყოველთვის, რუსულმა ტელეარხებმა ეს „სენსაცია“ უმალ აიტაცეს, თუმცა ის ბლეფი გამოდგა. დებალცევოზე იერიში მოგერიებულ იქნა. რუსებმა საკმაო დანაკარგი განიცადეს და უკან დაიხიეს. ამის შემდეგ რუსული არხები ახალ „დეზას“ ავრცელებენ:

— დებალცევო ალყაშია! იქ გამაგრებული უკრაინელი ჯარისკაცები განწირულნი არიან!

„დეზას“ გავრცელებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ტელეკომპანია „ინტერმა“ დებალცევოდან პირდაპირი ჩართვა განახორციელა. გამოირკვა, რომ არავითარ ალყაში ქალაქი არაა. მარცხით გაბოროტებულმა რუსებმა დებალცევოს „გრადები“ დაუშინეს. უკრაინულმა ავიაციამ რუსული „გრადები“ მოსპო. მტერიც იძულებული გახდა, უკან დაეხია.

— ბიჭები საბრძოლო განწყობაზე არიან, — განაცხადა ეროვნული გვარდიის ოფიცერმა და დებალცევოსათვის ბრძოლების მონაწილემ კაპიტანმა კრავჩუკმა, — მტერს ქალაქში არ შემოვუშვებთ და როგორც დღეს დავიფრინეთ, ხვალაც ისევე დავიფრენთ. რასაკვირველია, გული მტკივა, რომ დაბომბვებს მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება, მაგრამ, რას იზამ, ომია!

იმავე დღეს რუსულმა არმიამ მარიუპოლზე იერში მიიტანა. რუსულმა ტელეარხმა რენ ტივიმ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

— დონეცკელი მოლაშქრეები მარიოუპოლის გარეუბნებში შევიდნენ. უკრაინელი ძალოვნები ქალაქს საჩქაროდ ტოვებენ!

სინამდვილეში რუსული არმიის მოახლოებასთან ერთად მარიუპოლში ქუდზე კაცი გამოვიდა. ქალაქის ცენტრში, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ლენინის ძეგლი იყო აღმართული, 50 000-კაციანი მიტინგი შედგა. შეკრებილნი სკანდირებდნენ:

— ძირს იმპერია! პუტინო, ხელები შორს უკრაინისაგან!

სოფელ ბეზიმიანსკოესთან რუსულ არმიას ბატალიონი „აზოვი“ და მარიუპოლის ტერიტორიული დაცვის ძალები გადაეღობნენ. ცხარე ბრძოლების შედეგად იერიში მოგერიებულ იქნა.

— დღეს რუსეთმა უკან დაიხია, თუმცა შტურმი აუცილებლად გამეორდება! — განაცხადა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ.

რუსულმა არმიამ ცადა, ლუგანსკის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილისაკენ წინსვლა გაეგრძელებინა. უკრაინელმა ჯარისკაცებმა მათ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. რუსების წინსვლის შეჩერება მოხერხდა. უკრაინელებმა ასევე შეინარჩუნეს პოზიციები დონეცკის აეროპორტში და უშუალოდ დონეცკის გარეუბნებში.

— ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ! — ასე განუცხადა ერთ-ერთმა უკრაინელმა ჯარისკაცმა „ინტერის“ კორესპონდენტს.

მოსახლეობა კი დონბასს მასიურად ტოვებს. ცარიელდება ქალაქები, სოფლები. სამაგიეროდ დაკავებულ ტერიტორიებზე რუსი ჯარისკაცები მაგრდებიან. ისინი აწყობენ ბლოკ-პოსტებს, ათავსებენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს. უკრაინული სამხედრო დაზვერვის ცნობით, ლუგანსკში რადიო-ლოკაციური სადგურიც ჩაიტანეს.

— ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რათა რუსებმა დაკავებული ტერიტორიები რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ, — იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი“.

მიუხედავად ამისა, რუსებმა დონბასის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკავება ვერ შეძლეს. უკრაინელები რეგიონის 70 პროცენტს აკონტროლებენ. კვლავაც უკრაინელთა კონტროლქვეშაა სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი მარიუპოლი. უკრაინული დროშა ფრიალებს ლისიჩანსკზე, სჩასტიეზე, სლავიანსკზე, კრამატორსკზე, დრუჟოვკაზე.

— პუტინის დიდი მადლობელი ვართ; რომ დონბასში არმია შემოიყვანა, თუმცა ეს საკმარისი არაა. აუცილებელია დამატებითი რუსული ნაწილების შემოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ სასაკალაო დატრიალდება, — განაცხადა „დონეცკის რესპუბლიკის“ ლიდერმა ზახარჩენკომ.

### ჭირმა თავი არ დამალა

კრემლი დონბასში რუსული არმიის შესვლის ფაქტს სასტიკად უარყოფდა. მართლაც პუტინის მოქმედება თვით რუსეთის საკანონმდებლო ჩარჩოებშიც კი არ ჯდება. საქმე ისაა, რომ რუსეთის ფარგლებს გარეთ არმიის გამოყენებას ფედერალური საბჭოს მანდატი სჭირდება. პუტინს ეს არ გააჩნდა.

— კრემლში იმედოვნებდნენ, რომ რუსული რეგულარული ნაწილების გამოჩენა უკრაინელებზე დამთრგუნველ ზეგავლენას იქონიებდა და უკრაინული არმიაც საპნის ბუშტივით გაქრებოდა! ამას გარდა პუტინი დარწმუნებული იყო, რომ დონბასის მოსახლეობა კიევის წინააღმდეგ მასობრივად აჯანყდებოდა, რუსული დროშაც ერთი კვირის შემდეგ მთელს დონბასზე აფრიალდებოდა ანუ გამეორდებოდა ის, რაც 2008 წელს სამხრეთ ოსეთში მოხდა, — წერს რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ბორის ნემცოვი.



გათვლამ არ გაამართლა. დონბასის მოსახლეობა არ აჯანყდა, ფორმირების პროცესში მყოფმა უკრაინულმა არმიამ კი მტერს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. მართალია უკრაინელებმა გარკვეული ტერიტორიები დატოვეს და უკან დაიხიეს, მაგრამ ეს გამარჯვებებიც კი რუსებს ძალზე ძვირი დაუჯდათ. რუსეთში ცინკის კუბოებმა ინტენსიურად იწყეს დენა.

— უკრაინა ახალ ავღანეთად გადაიქცა, — იტყობინება არ-ტი-ვი-აი.

პუტინი შეეცადა, რუსი ჯარისკაცების დაღუპვის ფაქტი დაემალა. ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც მსხვერპლი საგრძნობი იყო. დაღუპულთა ოჯახებიც არ დუმდნენ.

— წავიდა ის დრო, როცა ქვეყანაში მასობრივი შიში იყო გამეფებული! მართალია, ფსბ-მ ზოგიერთი დაღუპულის ოჯახი შეაშინა, ზოგიც მოისყიდა, მაგრამ ყველას ვერ შეაშინებ და ვერც მოისყიდი! — იტყობინება არ-ტი -ვი-აი.

დაღუპული რუსი ჯარისკაცების ოჯახების ზოგიერთმა წარმომადგენელმა ოპოზიციურ ტელეარხ „დოჟდს“ ინტერვიუ მისცა. „უკრაინა რუსეთისათვის ისეთივე ტრაგედიად გადაიქცა, როგორც თავის დროზე ავღანეთი იყო“, — განაცხადა ერთ-ერთი დაღუპული ჯარისკაცის დედამ. ცნობები მოკლული რუსი ჯარისკაცების შესახებ ზოგიერთი ოპოზიციური გაზეთის ფურცლებზეც მოხვდა. ხელისუფლება იძულებული გახდა, კონტრსვლა გაეკეთებინა. რტრ-ის ეთერში ერთ-ერთი დაღუპული ჯარისკაცის, კოზლოვის, მამა გამოიყვანეს:

— ვამაყობ, რომ ჩემი შვილის დიდი რუსეთისათვის იბრძოდა და ამას შეეწირა! — განაცხადა მან.

ასეა თუ ისე, ჭირმა თავი ვერ დამალა. უკვე ცხადია, რომ ომი უკრაინაში ხანგრძლივი და სისხლიანი იქნება. რუსეთშიც უკვე გაისმის ხმები, რომ ეს ბინძური ომი არავის სჭირდება:

— დიდი რუსეთი ყველას უნდა, მაგრამ ცინკის კუბოები არ სიამოვნებთ! უკრაინა რომ საქართველოსავით ხუთ დღეში დაგვემარცხებინა, პუტინს გმირად შერაცხავდნენ. ბლიც-კრიკი ჩაიშალა, ცინკის კუბოები კი ინტენსიურად მოდის. ხალხიც უკმაყოფილოა, — ამბობს ნემცოვი.

რასაკვირველია, მასობრივ პროტესტებამდე ჯერ შორსაა, თუმცა, უკვე ცხადია, რომ ომი ხანგრძლივი და სისხლიანი იქნება. რუსეთშიც უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ ეს ბინძური ომია და ის არავის სჭირდება.

### პირველი გარღვევა

ასეთი ფონი უძღოდა უელსის სამიტს. ნატოც იძულებული იყო, კრემლის გამოწვევაზე რეაგირება მოეხდინა. გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა. ნატომ რუსეთთან თანამშრომლობა შეაჩერა. უელსის სამიტზე რუსები არ მიიწვიეს, სამაგიეროდ უკრაინის პრეზიდენტი ნატოს გენერალური მდივნის მოწვევით უელსში ჩავიდა. ამან მოსკოვი აღაშფოთა:

— თუკი უკრაინას ნატოში მიიღებენ, დონბასში სამშვიდობო პროცესი ჩაიშლება! — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

კრემლი მარტოოდენ ამ განცხადებას როდი დასჯერდა. რუსეთში მცხოვრებმა ფრანგმა კინოვარსკვლავმა ჟერარ დეპარდიემ შემდეგი განცხადება გააკეთა:

— ჩემი აზრით, ევროპელმა პოლიტიკოსებმა დამოუკიდებლობა დაკარგეს და ვაშინგტონის ვასალებად გადაიქცნენ. ისინი აკეთებენ იმას, რაც აშშ-ს აწყობს, მაგრამ ევროპას დააზარალებს. არავითარი უკრაინა არ არსებობს! ეს რეგიონი ისტორიულად მუდამ რუსეთის ნაწილი იყო. მისი ევროპად გამოცხადება და კიევის მოსკოვთან დაპირისპირება თავად ევროპას კატასტროფას უქადის!

დეპარდიეს სიტყვებს კონკრეტული ქმედებებიც მოჰყვა. სამიტის გახსნის დღეს ე.წ. პაციფისტთა დემონსტრაცია მოეწყო. როგორც გაირკვა, აქცია იმ ფირმების მიერ იქნა დაფინანსებული, რომლებიც „გაზპრომთან“ მჭიდროდ თანამშრომლობენ. დემონსტრანტებს ხელთ ეპყრათ ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: „ნუ მისცემთ უკრაინას იარაღს!“, „აიძულეთ კიევი, რათა პუტინის სამშვიდობო გეგმა მიიღოს!“ და ა.შ. ამან ნატოს სამიტზე შეკრებილი ყველა მოღვაწე აღაშფოთა:

— უკრაინის საკითხში ერთსულოვნება არ არსებობდა, მაგრამ ლავროვის სიტყვებმა და რუსული სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებულმა დემონსტრაციამ მოთმინების ფიალა საბოლოოდ აღავსო. უმრავლესობა იქით გადაიხარა, რომ უკრაინასთან თანამშრომლობა აუცილებელია, — განაცხადა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა ჰოვარდმა.

უელსში ჩასული პრეზიდენტი პოროშენკო აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას შეხვდა. საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. ობამასთან შეხვედრის შემდეგ პოროშენკომ განაცხადა:

— მზად ვარ, დონბასში ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გავცე, ოღონდ ეს ორმხრივი უნდა იყოს და ამის შემდეგ რუსული არმიის გაყვანის პროცესი დაიწყოს!

რასმუსენთან შეხვედრა ხანგრძლივი და ნაყოფიერი გამოდგა. შედგა უკრაინა- ნატოს კომისიის სხდომაც. ამის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა. რასმუსენმა განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას ახორციელებს და ამას ბოლო უნდა მოეღოს.

— ნატო უკრაინას აუცილებლად დაეხმარება! — თქვა რასმუსენმა.

ჟურნალისტების კითხვას, თუ კონკრეტულად რა სახის იქნება ეს დახმარება, რასმუსენმა მიუგო, რომ ნატო უკრაინას 25 მილიონ ევროს გამოუყოფს, უკრაინელ ჯარისკაცებს, რომლებიც დონბასში მიმდინარე ბრძოლებისას დაშავდნენ, ევროპის ჰოსპიტლებში უმკურნალებენ, ნატო დაეხმარება უკრაინას სამხედრო რეფორმის გატარებაში და ა.შ.

— როდის მიიღებენ უკრაინას ნატოში? — შეეკითხა პოლონელი ჟურნალისტი.

— უკრაინისათვის კარი ღიაა, — მიუგო რასმუსენმა, — თუმცა ქვეყანამ აუცილებელი რეფორმები უნდა გაატაროს.

პრეზიდენტმა პოროშენკომ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ომი დონბასში რეფორმებს ვერ შეაფერხებს. პირიქით, დღეს სამხედრო რეფორმების გატარება სასიცოცხლოდ აუცილებელია. შეკითხვაზე, მიაწოდებენ თუ არა უკრაინას იარაღს, რასმუსენმა მიუგო:

— ნატო ამ ეტაპზე ამისაგან თავს შეიკავებს, თუმცა ალიანსის ცალკეული წევრები საამისოდ მზად არიან.

რასმუსენმა არ დააკონკრეტა, თუ რომელმა ქვეყნებმა გამთქვეს მზადყოფნა უკრაინისათვის იარაღის მიწოდებაზე. პოროშენკოც ამ მხრივ ფრიად სიტყვაძუნწი იყო. უკრაინის პრეზიდენტმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მის ქვეყანას თანამედროვე იარაღს მიაწვდიან. უკრაინელმა პოლიტოლოგმა ციბილკომაც აღნიშნა:

— ის, რაც უელსში მოხდა, უდავოდ წარმატებაა!

ამრიგად ნატო თავის პოზიციას ნელ-ნელა იცვლის. ამისი მიზეზი არა იმდენად უკრაინული დიპლომატიის ოსტატობაა, რამდენადაც უკრაინელი ხალხის სიმამაცე და თავგანწირვა. დონბასში ნათლად გამოჩნდა, რომ უკრაინულ არმიას უდიდესი პრობლემები აქვს, მაგრამ ისიც ყველამ დაინახა, რომ უკრაინელ ხალხს უყვარს თავისი ქვეყანა და მისი დაცვისათვის მზადაა:

— უკრაინა ნატოს წევრი არაა, ამიტომ ამ ეტაპზე ალიანსი საომარ მოქმედებებში არ ჩაერევა, მაგრამ თუკი მართლაც მოხდა ესკალაცია, მაშინ იძულებულნი გავხდებით ჩავერიოთ, — განუცხადა ჟურნალისტებს ინგლისის პარლამენტის დეპუტატმა ჰოვარდმა.

უელსში უკრაინამ პირველ სერიოზულ გარღვევას მიაღწია. როგორ განვითარდება შემდგომი პროცესები? ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა უმთავრესი მაინც ისაა, თუ რამდენად შეძლებს უკრაინის ხელმძღვანელობა რუსეთისათვის ეფექტური წინააღმდეგობის ორგანიზებას.

**ნიკა თევზაძე**

# ბორის აკუნინი რუსეთიდან მიდის?



ცნობილი რუსი მწერალი ბორის აკუნინი რუსეთიდან მიდის — ეს ინფორმაცია „ეხო მოსკვიმ“ გაავრცელა. საფუძველი მწერლის ინტერვიუ გახდა, სადაც მან განაცხადა:

— რუსეთში დღეს კოლექტიური შიზოფრენიაა გამეფებული! ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს აბსოლუტურად ფხიზელი კაცი მთვრალების საზოგადოებაში მოვხვდი. ამიტომ რუსეთიდან მივდივარ!

შემდგომ ინტერვიუში მწერალმა დააკონკრეტა, რომ მხედველობაში ჰქონდა არა ემიგრაცია, არამედ დროებით რუსეთიდან წასვლა.

— მსურს, რუსეთის გარეთ ორი-სამი თვე ვიცხოვრო. სხვაგვარად, ალბათ, შევიშლები, — თქვა მწერალმა.

რაც შეეხება სამუდამოდ დასავლეთში გადასახლებას, ამაზე აკუნინმა მიუგო:

— ჯერჯერობით ამაზე არ ვფიქრობ!

ბორის აკუნინი წარმოშობით ქართველია. მისი ნამდვილი სახელი და გვარი გრიგორი შალვას ძე ჩხარტიშვილია. ის 1956 წელს ზესტაფონში დაიბადა. მამამისი შალვა ჩხარტიშვილი ოფიცერი-არტილერისტი იყო, დედა ბერტა ბრაზინსკაია კი — რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მწერალი ოთხი წლის იყო, როცა ოჯახი მოსკოვში გადასახლდა. აკუნინმა აქ დაამთავრა სკოლა, შემდეგ — აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. აკუნინი ცნობილი იაპონოლოგია. მის კალამს ეკუთვნის უამრავი ნაშრომი იაპონური ლიტერატურის შესახებ. ისინი მან საკუთარი გვარით გამოაქვეყნა. ასევე ჩხარტიშვილის გვარითაა გამოქვეყნებული იაპონელი მწერლების თარგმანები, რომელთაგანაც განსაკუთრებით კობო აბეს ფანტასტიკური რომანების თარგმანები გამოირჩევა. ჩხარტიშვილი 24-ტომიანი „იაპონური ლიტერატურის ანთოლოგიის“ რედაქტორია. მას ეკუთვნის აგრეთვე ინგლისელი მწერლების თარგმანებიც (რეი ბრედბერი, პიტერ უსტინოვი და ა.შ). როგორც მწერალმა, სახელი დეტექტიური რომანებით გაითქვა. ისინი ბორის აკუნინის ფსევდონიმით გამოიცა, მრავალ ენაზე ითარგმნა და ეკრანიზებულ იქნა. აკუნინი პუტინის რეჟიმის თავგამოდებული მოწინააღმდეგეა. ის აქტიურად მონაწილეობდა ბალოტნაიას მოედანზე მიმდინარე ანტიპუტინურ გამოსვლებში. მწერალი დღესაც პუტინის რეჟიმს სისტემატურად აკრიტიკებს:

— უკრაინაში ჯარის შეყვანა არა მხოლოდ უზნეობაა, არამედ ეს რუსეთისთვისაა დამღუპველი! სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას სავალალო ბედი ელის! ტრაგედია ისაა, რომ მე ამას ვხედავ, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემიძლია. — ამბობს აკუნინი.

# რუსეთის დუმის დეპუტატი ემიგრაციაში წავიდა



რუსეთის დუმის ოპოზიციონერი დეპუტატი პონომარიოვი სამშობლოში დაბრუნებას აღარ აპირებს. ამის შესახებ მან აშშ-ში ვიზიტისას განაცხადა. სწორედ აქ მოუსწრო მას სასამართლოს დადგენილებამ, სადაც ნათქვამია, რომ პონომარიოვს ბრალად თაღლითობა ედება. დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ საზღვარგარეთ წასვლა ეკრძალება.

— დეპუტატს 2,7 მილიონი დოლარის აფიორას სდებენ ბრალად, — იტყობინება ბი-ბი-სი.

თავად პონომარიოვი ბრალდებას უარყოფს და ამას პოლიტიკურ დევნას უწოდებს. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ რუსეთში არ დაბრუნდება.

— ჩემს სამშობლოში ახლა პოლიციური რეჟიმია. მეც იძულებული ვარ, დასავლეთში პოლიტიკური თავშესაფარი მოვითხოვო, — თქვა პონომარიოვმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

ქვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# რობერტო ბაჯო ხიზანიშვილთან და ნემსაძესთან ერთად მკურნალობდა

რობერტო ბაჯო, იტალიელი ფეხბურთელი, იტალიის ნაკრების ნახევარმცველი, რომელმაც დიდ წარმატებას „იუვენტუსში“ თამაშისას მიაღწია. „ოქროს ბურთის“ მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. გუნდის ქარიზმატული ლიდერი, რომელსაც მთელი ცხოვრება ტრავმები ტანჯავდა, მიუხედავად ამისა, მან მაინც მოახერხა, გამხდარიყო მსოფლოს საუკეთესო თავდამსხმელი და საკუთარი გვარი ჩაწერა ყველაზე შემოქმედებით და ფანტაზიორ ფეხბურთელებს შორის.

ფეხბურთის სხვა არაერთი ვარსკვლავისგან განსხვავებით, ბაჯოს პოპულარობის მოსაპოვებლად საკუთარი პერსონის გარშემო ნარკოტიკებთან, ალკოჰოლთან, დოპინგთან დაკავშირებული ან სექსუალური სკანდალების აგორება არ დასჭირვებია.

პროვინციულ ქალაქ ვიჩენცასთან მდებარე დაბა კალდონმიოში, მარკონის ქუჩაზე, მე-3 სახლში ფიორინდო და მატილდა ბაჯოებს მე-7 შვილი შეეძინათ, რომელსაც მამამ იმ წლების პოპულარული იტალიელი ფეხბურთელის, რობერტო ბონინსენიას პატივსაცემად რობერტო დაარქვა. ბაჯოს მამა, ფლორინდო, ველოსპორტის დიდი მოყვარული გახლდათ და დიდი სურვილი ჰქონდა ვაჟიშვილიც სპორტის ამ სახეობას გაჰყოლოდა, თუმცა პატარა რობიმ ფეხბურთი ირჩია. კალდონმინიოს ბერთა საძმო გრძელ თმას კრძალავდა, რობერტომ კი საერთო წესრიგი უგულებელყო და თმა გაიზარდა. ერთ დღეს მას საყდართან მჯდარმა მოხუცებმა უხმეს — ისინი უხსნიდნენ გრძელი თმის სიავეს... არაფერმა რომ არ გაჭრა ერთ-ერთმა ბერმა სანაძლეო დაუდო, რომლის წაგების შემთხვევაში სამუდამოდ გამოეთხოვებოდა გრძელ თმას. რობერტო დათანხმდა და თავისსავე თანატოლს „ჩეკაჩონკაში“ (ბურთის კენწვლა) გაეჯიბრა. რობიმ ნიძლავი მოიგო და იმ დღიდან ყველაფერი დალაგდა. ჯერ კიდევ 9 წლის იყო, როდესაც საბავშვო გუნდის მწვრთნელმა ფორვარდის პოზიციაზე გაამწესა. 14 წლის ასაკში კი ერთ-ერთ მატჩში 6 გოლის გატანა მოახერხა. რის შემდეგაც იმ დროისთვის სერია ც-ში მოასპარეზე „ვიჩენცას“ სკუატების ყურადღება მიიპყრო. პირველი პროფესიონალური კონტრაქტიც მალევე გააფორმა, რის თანახმადაც ბაჯო თვეში 170 დოლარს იღებდა.

1984-85 წლების სეზონში კი მის მიერ გატანილმა 12-მა გოლმა დიდი როლი ითამაშა „ვიჩენცას“ სერია ბ-ში აღზევებაში. თავად ბაჯო უფრო ძლიერი კლუბების სელექციონერების ყურდღების ცენტრში მოექცა. მალე რობერტომ „ფიორენტინას“ მიაშურა, სადაც ხუთი წელი გაატარა. ამ კლუბში ყველაზე წარმატებული სეზონი 1989-90 წლებში ჩაატარა, მაშინ ფლორენციელებმა უეფას თასის ფინალში გააღწიეს, თუმცა ფინალში ტურინის „იუვენტუსთან“ დამარცხდნენ.

ის ფინალი ბაჯომ ბრწყინვალედ ჩაატარა და ტექნიკური თამაშით მოწინააღმდეგე გუნდის მესვეურებიც მოხიბლა და მათაც საკუთარ კლუბში გადასვლა შესთავაზეს.

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე კლუბის შეცვლა ყველასათვის მოულოდნელი იყო. ეს ამბავი დიდხანს ბურუსით იყო მოცული, თუმცა ყველაფერი ბაჯოს ავტობიოგრაფიული წიგნით გახდა ნათელი. მისი თქმით, თავად ფეხბურთელს დიდი სურვილი ჰქონდა „ფიორენტინაში“ დარჩენის და კონტრაქტიც გაახანგრძლივა ერთი წლით. თუმცა, როგორც გაირკვა, იების მაშინდელი პრეზიდენტი პონტელო იუვეს პრეზიდენტ ანიელისთან ტრანსფერის ღირებულებაზე უკვე შეთანხმებული იყო. იმ დროისთვის ჟან ჟაკ ბოსმანს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოგებული სასამართლო და ფეხბურთელებს საკუთარი სურვილით სხვა კლუბში გადასვლა არ შეეძლოთ. ბაჯო იტალიის ნაკრებთან ერთად უკვე შეკრებაზე იმყოფებოდა, როდესაც შეიტყო, რომ „იუვენტუსში“ გადაიყვანეს. კლუბებმა ისე გააფორმეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომ ფეხბურთელი ამ პროცესს არ დასწრებია.

„ბებერ ქალბატონს“ რობის ყიდვა 17 მილიონი დოლარი დაუჯდა. ბაჯოს გაყიდვით უკმაყოფილო დარჩა „ფიორენტინას“ გულშემატკივარი, მათ კლუბის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ფლორენციის ქუჩებში საპროტესტო აქციაც კი გამართეს, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა. მისი გადასვლის მიზეზი არავის უკუთხავს და ბაჯო სათაყვანებელი ფეხბურთელიდან საძულველ მოთამაშედ იქცა. ფლორენციელები მაშინ კავერჩანოს საწვრთნელ ბაზაზეც კი შეიჭრნენ სიტუაცია მხოლოდ კარაბინერებმა განმუხტეს.



„იუვენტუსში“ ბაჯოს გადასვლით ფეხბურთში დაიწყო მილიონიანი ტრანსფერების სერია, რაც დღემდე გრძელდება და კოლოსალურ თანხებს აღწევს. იმ დროისთვის „ბებერმა ქალბატონმა“ ფეხბურთელებისთვის ხელფასები გაანახევრა, რასაც ბაჯო არ დაეთანხმა და ჰონორარის მომატება მოისურვა. კლუბის ხელმძღვანელობამ საყვედური გამოუცხადა ფეხბურთელს და რობიმ კლუბის შეცვლა გადაწყვიტა.

1995 წელს ბაჯო „მილანში“ გადავიდა. ტურინელებს მისი წასვლა დიდად არ განუცდიათ — იქ უკვე დელ პიერო იწყებდა გაბრწყინებას. „მილანში“ გადასულ ბაჯოს კიდევ ერთი ნოვატორული პროექტის მსხვერპლად გახდომა ელოდა. სწორედ მაშინ იდგამდა ფეხს ორი შემადგენლობის აუცილებლობის პრინციპი. ყველაფრის მოგების მსურველ „მილანს“ ორი თანაბარი დონის შემადგენლობა სჭირდებოდა. ფაბიო კაპელომ ბაჯო იმ შემადგენლობაში გაამწესა, რომელსაც იშვიათად უწევდა მოედანზე გასვლა. საბოლოოდ რობერტო მიხვდა, რომ დიდ გუნდში უთამაშებლობას საშუალო დონის კლუბში გადასვლა სჯობდა, იქ, სადაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდებოდა.

1997 წელს ბაჯო „ბოლონიაში“ აღმოჩნდა და, როგორც თვითონ ამბობს, ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა, 1998 წელს კი „ინტერში“ გადავიდა, სადაც მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი იყო, რომლესაც ბაჯო დიდად არ მოსწონდა. ეს ტრანსფერი წარუმატებელი გამოდგა. უთამაშებლობის გამო ვერც ეროვნულ ნაკრებში ხვდებოდა, ამიტომაც ისევ კლუბის შეცვლა გადაწყვიტა

„ინტერიდან“ ბაჯო „ბრეშაში“ 2001 წელს გადავიდა და პირველივე სეზონში 9 მატჩში 8 გოლი გაიტანა. თუმცა შემდეგ დაშავდა და არაერთი მატჩის გამოტოვება მოუწია. მოედანზე გასვლა სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე შეძლო. პირველივე თამაშზე „ბოლონიას“ წინააღმდეგ საწყის 2 წუთში 2 გოლი გაიტანა. რობერტო ბაჯომ „ბრეშას“ შემადგენლობაში 2004 წლამდე ითამაშა და კარიერაც ამ კლუბში დაასრულა.

რობერტო ბაჯომ პირველი სერიოზული ტრავმა, რომელმაც მთელი კარიერის განმავლობაში გაუმწარა სიცოცხლე, 18 წლის ასაკში მიიღო. ეს მაშინ მოხდა, როცა მეტოქისთვის ბურთისართმევა სცადა. როგორც შემდეგ გაირკვა, საკმაოდ სუსტი მუხლი ჰქონდა და მსგავსი მოძრაობები არ უნდა გაეკეთებინა. ამ ტრავმის დროს მიღებული ტკივილები მთელი კარიერის განმავლობაში ახსენებდა თავს. ყველაფერთან ერთად ტკივილგამაყუჩებლებზე ალერგია აღმოაჩნდა და რასაც სხვა ფეხბურთელები მარტივად იყუჩებენ, ბაჯოს ჯოჯოხეთურ ტკივილებს ანიჭებდა. რობერტო ბაჯო შემდეგაც არაერთხელ დაშავდა. მის კარიერაში ტრავმები დიდ როლს „ასრულებდა“. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე მან კიდევ ერთი სერიოზული ტრავმა მიიღო, ბევრი მის საფეხბურთო კარიერის დასასრულზეც საუბრობდა. მაგრამ ბაჯომ იმკურნალა და რეაბილიტაცია გაიარა ბოლონიის საუკეთესო კლინიკაში. იმ პერიოდში მასთან ერთად ტრავმებს იშუშებდნენ ქართველი ფეხბურთელები — ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე.

ბაჯომ ფეხბურთიდან წასვლის ოფიციალური განცხადება 2004 წლის 31 მარტს გააკეთა. ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ, მიუხედავად იმისა, რომ კორეა-იაპონიაში არ წაიყვანა, შესთავაზა, 28 აპრილს ესპანელებთან შეხვედრაში მიეღო მონაწილეობა, რაც ფეხბურთიდან ერთგვარი გაცილება იქნებოდა. პანუჩიმ რობერტოს დიდსულოვნად დაუთმო კაპიტნის სამკლაური. იტალიური ფეხბურთის ლეგენდა 9 წლიანი შესვენების შემდეგ პირველად გავიდა მოედანზე „აძურის“ მაისურით. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ბაჯო მიკოლიმ შეცვალა. მოედანზე შეკრებილმა პუბლიკამ კი ფეხზე ამდგარმა ოვაციებით გააცილა 37 წლის ნახევარმცველი.

რობერტო ბაჯოს 7 დედმამიშვილი ჰყავს. ბავშვობაში ძმებთან ერთად ბურთს დასდევდა, თუმცა ფეხბურთელი მხოლოდ თვითონ გახდა. დედამისი მატილდა დიასახლისია. ცოლი ანდრეინა კი პირველად 1982 წლის თებერვალში ნახა. მაშინ ორივე 15 წლის იყო. მათ სიყვარულს რომეოსა და ჯულიეტასას ადარებენ. ბედნიერ წყვილს ორი შვილი ჰყავს — ვალენტინი და მატია. დიდი საფეხბურთო ნიჭის გარდა, ბაჯო პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევა. ამასთან თავისი გარეგნობითაც იქცევს ყურადღებას. მას მარჯვენა ხელზე ინდური სვირინგი აქვს, ბოშურ საყურესა და გრძელ შეკრულ თმას ატარებდა, ახლა კი შევერცხლილი თმები დაბალზე აქვს დაყენებული. ბაჯო აღმსარებლობით ბუდისტია. ამ რელიგიით სტრესულ მდგომარეობაში ყოფნის დროს მეგობრის რჩევით დაინტერესდა.

# ანდრეი შევჩენკო: „სამწვრთნელო გზა ავირჩიე“

რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, რომელიც რომის პაპისა და არგენტინელი ფეხბურთელის, ხავიერ ძანეტის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული.

მასში მონაწილეობა უკრაინელმა ფეხბურთელმა ანდრეი შევჩენკომაც მიიღო, რომელიც ორი გოლითაც გამოირჩა. თუმცა, უკრაინელი ფეხბურთელი იტალიელი ჟურნალისტებისთვის უფრო სხვა საკითხების გამო მოექცა ყურადღების ცენტრში.

— უკრაინაში რთული სიტუაციაა. როგორ ფიქრობთ, ასეთ დროს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება უპრიანია?

— რთული სათქმელია. ყველას თავისი აზრი აქვს, ჩემი შეხედულების ღიად დაფიქსირებას არ ვაპირებ. შესაძლოა, ფეხბურთმა შემიქნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი კარგად არის, თუნდაც მცირე ხნით.

— გეგმავთ უკრაინაში დაბრუნებას სწავლის დასასრულებლად?

— დიახ. სამწვრთნელო გზა ავირჩიე და მინდა დავამთავრო სწავლა. ამასთან, გამუდმებით კონტაქტზე ვარ ჩემს ყოფილ კლუბებთან, ველაპარაკები მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს, ვიმახსოვრებ სასარგებლო ინფორმაციებს. როდესაც მზად ვიქნები, შემდეგ დავიწყებ წინადადებების განხილვას.

— ზეედორფმა კი მოუმზადებლად დაიწყო და არაფერი გამოუვიდა.

ვერ დაგეთანხმებით. მან „მილანთან“ ერთად მეორე წრეში საკმაოდ აგროვა ქულები, თანაც მაშინ, როდესაც გუნდში რთული სიტუაცია იყო. კლარენსი რისკზე წავიდა, რაც ახალი პროფესიის ასათვისებლად საჭიროა. ახლა ის ნაბიჯით წინ არის, დააგროვა გამოცდილება, რომელიც ბავშვთა გუნდებში მუშაობით არ მოდის. წაგებაც ამ პროფესიის ერთი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყოდი, რომ ზეედორფი ჩაფლავდა.

— ახლა „მილანის“ მწვრთნელი თქვენი ყოფილი თანაგუნდელი და მეწყვილე ფილიპო ინძაგია.

ვუსურვებ, რომ სეზონი პოზიტიურ ნოტაზე დაასრულოს. გუნდმა ჩინებულად ითამაშა პირველი მატჩი „სან სიროზე“ „ლაციოსთან“ (3:1). დავინახე, რომ გუნდი ენთუზიაზმით არის სავსე. ფეხბურთელობისას პიპოს ბევრი აქვს ნანახი და ყველა შესაძლებელი ტიტული მოუგია, ამიტომ მან კარგად იცის, როგორ უნდა უხელმძღვანელოს გუნდს. რაც შეეხება ტიტულებს, ეს სხვა ბევრი ფაქტორიდანაც გამომდინარეობს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ინძაგის დიდებული სამწვრთნელო კარიერა ექნება.

— რთული დასაჯერებელია, რომ ინძაგის ექნება ისეთივე შთამბეჭდავი კარიერა, როგორც ფეხბურთელობისას. ამის თქმის უფლებას სადღეისოდ იტალიაში არსებული სიტუაცია გვაძლევს.

— იტალიურმა ფეხბურთმა ხარისხი დაკარგა იმის გამო, რომ არ აქვთ რესურსი კარიერის პიკში მყოფი ფეხბურთელების შესაძენად. უაზროო ფილოსოფიური დისკუსიები, რომ პრობლემა მხოლოდ ფინანსებშია. „მილანს“, „ინტერსა“ და „იუვენტუსს“ არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ევროპულ ბობოლა კლუბებს. როდესაც მე გადავედი იტალიაში, მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო.

— გამოდის, ჩემპიონთა ლიგაზე იტალიელებს შანსი არ აქვთ.

— ასეც არ მითქვამს. „რეალს“, „ჩელსის“, „ბარსელონას“, „ბავარიასა“ და პსჟ-ს ფავორიტებად კი მივიჩნევ, მაგრამ „იუვენტუსს“ აქვს იმის კლასი, რომ კონკურენცია გაუწიონ ინგლისელებს, ესპანელებსა და გერმანელებს. „რომაც“ სერიოზულად არის განწყობილი.

— ალეგრი შეძლებს კონტეს მემკვიდრეობის გაგრძელებას?

— ბევრი უბედურების გადატანის შემდეგ კონტემ „იუვენტუსი“ ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ახლა ეს ციკლი დასრულებულია და ახალი ერა უნდა დაიწყოს. ალეგრი სამუშაო პროცესში მყავს ნანახი და ეს სპეციალისტი მომწონს. მგონია რომ წნეხს გაუძლებს. ყოველ შემთხვევაში ის გრძნობს პასუხისმგებლობას — სხვა შემთხვევაში საქმეს ხელს არ მოკიდებდა. ალეგრის სკუდეტოც აქვს მოგებული და ეს ბრძოლა წანაგებიც აქვს. ახლა „მილანის“ შემდეგ კიდევ ერთ დიდ კლუბში უწევს მუშაობა.

— თავად რომელ გუნდში ისურვებდით მუშაობის დაწყებას?

— ცხადია, ჩემი ოცნებაც ტოპ-გუნდში მუშაობაა, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ადრიანად მიმაჩნია. ჯერ მხოლოდ ვემზადები ახალი პროფესიისთვის. ჯერ ჩემს მცირე გამოცდილებას მხოლოდ 4 შვილს ვუზიარებ სახლში.

— იტალიაში ახლა ყველა კონტეს მუშაობის სტილზე საუბრობს და ამბობენ, რომ ფანატიკოსია. იქნება ინძაგი ასეთივე?

— ეს არავინ იცის. ყველაფერი გარემოებებზე იქნება დამოკიდებული. ფეხბურთელი მომდომებული და ემოციური იყო. სასიამოვნო იყო მისი რეაქციების ცხოვრებაში ნახვა. ძალიან უყვარდა დაუღალავი მუშაობა და ეს დასაფასებელია. მთავარია, მან ჩამოაყალიბოს ურთიერთობა ფეხბურთელებთან, მოტივაცია შემატოს და გასახდელში ჰარმონია შეინარჩუნოს. ყველაფერი აქედან იწყება.

— თქვენ ლონდონში ცხოვრობთ და ხშირად საუბრობთ „ჩელსის“ ფეხბურთელებთან. მოურინიოსთან თუ გაქვთ კავშირები?

— მხოლოდ პროფესიონალური. მინდა კარგი მწვრთნელი გავხდე და ამიტომ მისგანაც მაქვს სასწავლი. წარსულს რაც შეეხება, ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდი მაინც და მაინც სასიამოვნო გასახსენებელი არ არის, გამუდმებით ტრავმები მქონდა.

— „მილანი“ სწორად მოიქცა, როდესაც ბალოტელი გაუშვა?

— თუ ფეხბურთელს იქ თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა და არც კლუბს სურდა მისი დატოვება, მაშინ გამართლებული ნაბიჯია. მარიო 2 წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე ვნახე და მართლაც ფანტასტიკური ფეხბურთელია. ვერ ვიტყვი რომ მან გზას გადაუხვია, კიდევ უნდა მიეცეს შანსი და ახლა ამას „ლივერპული“ გააკეთებს. ეს დიდი კლუბია და აქვს პრეტენზია განაცხადოს ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე. ბალოტელის ბედი კი მისივე ხელშია და მან უნდა განკარგოს.

— როგორ ფიქრობთ, შეძლებს ანჩელოტი, მეორედ მიიყვანოს „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად?

— ძალიან გავიხარე, როდესაც კარლომ „სამეფო კლუბს“ ისტორიაში მეათე ჩემპიონთა ლიგის თასი მოაგებინა. ის ისევ ქმნის ისტორიას, მაგრამ წელს „რეალს“ უჩვეულოდ ბევრი კონკურენტი ეყოლება.

— საფეხბურთო ცხოვრებიდან ყველაზე მეტად რა გენატრებათ?

— დაღლილობა, როდესაც მძიმე სამუშაოს შემდეგ ძალა აღარ გრჩებოდა. იმედი მაქვს, სამწვრთნელო პროფესია არანაკლებ ძლიერ განცდებს დამიტოვებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ბეგოვიჩი გინესის რეკორდებში

„სტოკ სიტის“ ბოსნიელი მეკარე ასმირ ბეგოვიჩი გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს. ამის მიზეზი გასულ სეზონში „საუთჰემპტონის“ (1:1) კარში გატანილი გოლია.

თითქოს აქ საოცარი არაფერი უნდა იყოს, რადგან მეკარეებს გოლი აქამდეც გაუტანიათ, მაგრამ გეტყვით, რომ „სტოკ სიტისა“ და „საუთჰემპტონის“ დაპირისპირება 2013 წლის 2 ნოემბერს შედგა, რომელიც 1:1 დასრულდა, ბეგოვიჩმა კი თავი უკვე მე-13 წამზე გამოიჩინა, როდესაც არტურ ბორუცს გოლი გაუტანა.

გინესის წიგნში კი 27 წლის ბოსნიელი შემდეგი განხრით შეიყვანეს: ფეხბურთელი, რომელმაც ყველაზე შორი დისტანციიდან შეძლო მეტოქის კარის აღება — 91,9 მეტრი!

— ჩემთვის ეს ჯილდო ნამდვილად დიდი პატივია და, რასაკვირველია, სახლში საპატიო ადგილს დაიკავებს, — განაცხადა ბეგოვიჩმა.



# რა ხდება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კორექტივები შეიტანა და სასარგებლო ნამდვილად არა. იმ მხრივ, რომ ჩვენ აღარ გვქონდა საშუალება და დღესაც არ გვაქვს საშუალება, ამ მიმართულებებზე შიდა გამოცდის ჩატარების. ამაზე ძალიან ბევრი და ხშირი კამათი იყო, ვსაუბრობდით რეფორმების პერიოდში, არა მარტო ჩვენ, არამედ მუსიკათმცოდნეებიც, ხელოვნებათმცოდნეებიც, აკადემიის ნაწილს ვგულისხმობ, საბოლოოდ ითქვა, რომ სტანდარტი იქნება ერთი ყველასთვის და სახელოვნებო უმაღლესებისთვის ამ დაშვებას მოიაზრებდნენ.

***– ეს ეხება მხოლოდ მსახიობებს თუ რეჟისორებსაც?***

– ყველა საშემსრულებლოს. თვითონ მიღების ფორმა შენარჩუნებულია. სხვა საქმეა, რომ სხვა სახელოვნებო უმაღლესებმა შინგით, ფორმაში გარკვეული კორექტივები შეიტანეს. მოთხოვნებში შეიტანეს კორექტივი, თუმცა ჩვენთან ასეთი რამ არ მომხდარა. სარეჟისოროზე არის პრაქტიკული ნაწილი გამოცდის და არის გასაუბრება. ეს მხარე შენარჩუნებულ იქნა. სამსახიობოზე არის ორი შესარჩევი ტური და შემდეგ უკვე გამოცდა. საოპერატოროზეც არის პრაქტიკული ნაწილი გამოცდის, მერე თეორია და მერე ჯამდება.

***– ეროვნული გამოცდები?***

– ეროვნული გამოცდები ყველამ უნდა გაიაროს. ისინი ჯერ ყოველთვის ჩვენთან გადიან და მერე აბარებენ ეროვნულებს. არის შემთხვევა, როცა ჩვენთან კარგად აბარებენ აბიტურიენტები და მერე ეროვნულებში იჭრებიან. წელსაც ჩაიჭრნენ. ამ წლების მანძილზე ყოველთვის არის ეს შემთხვევა, როცა მაქსიმუმ 10-11 კაცამდე ვკარგავთ ყველა ფაკულტეტზე ერთად. ამას ვერაფერს მოვუხერხებთ. თუ ეროვნულ გამოცდებზე ჩაიჭრებიან, ჩვენთან ვერ მოხვდებიან. სულ არის კამათი იმაზე, რომ თუკი სპეციალობას ჩააბარებს აბიტურიენტი კარგად, მას ეროვნულები აღარ უნდა უქმნიდნენ დაბრკოლებას, მაგრამ მოდით, გულწრფელად ვთქვათ, ჩვენთან, სარეჟისოროზე არის ოდნავ აწეული გადასალახი კოეფიციენტი, დანარჩენი ჩვენც და სხვა უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებსაც გვაქვს მიცემული მინიმალური ზღვარი, აბიტურიენტი უბრალოდ არ უნდა ჩაიჭრას, მან ელემენტარული უნდა იცოდეს. ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს ისეთი მაღალი კოეფიციენტები, როგორიც თსუ-ს აქვს, ან ილიას უნივერსიტეტს, ან თავისუფალ უნივერსიტეტს, ან ტექნიკურ უნივერსიტეტს, იქ უფრო მაღალია კოეფიციენტები, ჩვენთან მაღალი კოეფიციენტები აქვთ, ვისაც უნდათ თეატრმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა და ნებისმიერი მიმართულების რეჟისორობა. რაც შეეხება მსახიობებს, სხვადასხვა მიმართულების შემსრულებლებს, იქ არის ყველაზე დაბალი კოეფიციენტი, ის უნდა გადალახონ. გულწრფელად რომ ვთქვათ, სირცხვილია ამის არგადალახვა, მაგრამ ჩვენ გვაქვს სამწუხარო, უფრო სხვა მაგალითები. ყოფილა შემთხვევები, როცა ადამიანი არ გამოცხადებულა ეროვნულ გამოცდაზე, არადა, ამ დროს ჩვენთან თითქმის უმაღლესი შეფასება ჰქონდა – 95-96 ქულა. ან არ გამოცხადებულან, ან დაგვიანებით მისულან და მერე აღარ დაუშვიათ გამოცდაზე. წერაზე არ მისულან, იმიტომ, რომ დაავიწყდათ.

***– თქვენთან ასეთი გაადვილებული რომ არის ჩაბარება, ეს ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ სამსახიობოზე ყოველ წელს განსაკუთრებით ბევრი მსურველია?***

– სამსახიობოზე რომ განსაკუთრებული ნაკადია საქართველოში, ეს გასაკვირი არ არის. მსახიობობა ის პროფესიაა, რომელსაც საქართველოში მოსახლეობის 99,9% თვლის თავის პროფესიად, უბრალოდ, ზოგმა ვერ მოიცალა ამისთვის, ზოგს ცხოვრებამ არ მისცა საშუალება, ზოგს უბრალოდ არ გაუღიმა ბედმა, ამიტომ ამ მიმართულებაზე რაც არ უნდა მოხდეს საქართველოში, სულ რომ თეატრები დაიხუროს, კატასტროფა რომ დაგვატყდეს თავს, ამაზე ყოველთვის იქნება მაღალი კონკურსი და ყოველთვის არის მაღალი კონკურსი. არა მარტო მსურველია ბევრი აქ ჩაბარების, არამედ ამ მსურველებში აბსოლუტურად ყველა დარწმუნებულია, რომ ეს მისი საქმეა და მისი ნაწილია. ამაში ცუდი არაფერია, უბრალოდ, ხშირად საკმაოდ მძიმე და რთული ასახსნელია, რომ ეს ასე არ არის.

***– რეჟისორობაც ბევრს უნდა?***

– სურათი შეიცვალა, განსაკუთრებით რაც ეხება დრამის რეჟისურას. სამწუხაროდ, ბოლო წლები, ერთი-ორი წლის გამოკლებით, მეტად და მეტად სავალალო მდგომარეობაა ამ მხრივ. ბოლო წლების მანძილზე თავისუფალი ადგილები გვრჩება. მსურველთა ნაკადი დრამის რეჟისოურაზე არ არის დიდი. თუ ვაცხადებთ 5 ადგილს, წლების მანძილზე ამ 5 ადგილზე იყო 10 განცხადება, თუ იყო 15 განცხადება, ჩვენ ვთვლიდით, რომ ეს კარგი შედეგია და სამი კაცი მაინც არის ერთ ადგილზე. იყო შემთხვევები, როცა უფრო ნაკლები იყო განცხადება. იმ შემთხვევაში კი თუ განცხადება აჭარბებდა სტანდარტულ მაჩვენებელს და იყო 20-25 განცხადება, იმდენად სუსტი იყო კონტინგენტი მსურველების, რომ აუთვისებელი რჩებოდა ადგილები. შარშან აიყვანა გაერთიანებული სამსახიობო-სარეჟისორო ჯგუფი ბატონმა თემურ ჩხეიძემ, რომელიც დაბრუნდა საქართველოში. ჩვენდა სასიხარულოდ, მან იმ წუთში განაცხადა სურვილი, თეატრალურში ემუშავა და, რა თქმა უნდა, იმ წუთში მიეცა მას საშუალება ჯგუფის აყვანის. მას ჰქონდა 12 ადგილი მსახიობებისთვის და 5 ადგილი რეჟისორებისთვის. მასთანაც კი არ შედგა ჯგუფი იმ მხრივ, რომ დაგვრჩა აუთვისებელი 2 ადგილი. რაოდენობა იმაზე მეტი მოვიდა, ვიდრე მოდიოდა, მაგრამ ასარჩევი კონტინგენტი იყო ძალიან მძიმე. წელს სამ-სამ კაციანი ორი ჯგუფი, ანუ ექვსი ადგილი გვქონდა და ხუთი ადგილი იქნა ათვისებული, ერთი ადგილი აუთვისებელი დაგვრჩა. რაც შეეხება კინორეჟისურას, იქ ყოველ წელს არის კონკურსი, წელსაც იყო შედარებით მცირე კონკურსი, ვიდრე შარშან, მაგრამ წელსაც ერთი ადგილი აუთვისებელი დაგვრჩა.

***– ამას როგორ ხსნით?***

– ადგილები რომ აუთვისებელია, ამის მიზეზი არის, რომ მოთხოვნების თამასა ავწიეთ. გამოცდები ტარდება უფრო მკაცრად, მეტი მოთხოვნით და ის ლოგიკა, რომ გვაქვს ხუთი ადგილი და ყველა მივიღოთ, ასე არ ხდება. ეს ლოგიკა დიდი ხანია გვერდზე გავწიეთ და ამიტომ აგვყავს მხოლოდ ის, ვისაც აქვს მინიმალური საწყისი მონაცემი, რომელიც საჭიროა მისი სწავლა-განვითარებისთვის. უმძიმესი სიტუაციაა განათლების თვალსაზრისით. გასაუბრებებზე, როდესაც წერის მერე არის ზეპირი გასაუბრება, ეს ნათლად ჩანს. ნაწერებიც არის ისეთი, რომ შეიძლება თავი მოიკლა ადამიანმა. გასაუბრება ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ხოლმე. ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ მან უნდა იცოდეს ისეთი თემები და თავისუფლად მსჯელობდეს ისეთ თემებზე, რომელიც ითხოვს განსაკუთრებულ მომზადებას, ლაპარაკია სკოლის პროგრამაზე. შეგეშინდება, როცა ზიხარ იმ გასაუბრებებზე. განსაკუთრებით ეს ეხება ბიჭებს. გოგონები უფრო მომზადებულები არიან, უფრო ნაკითხები არიან, მგონია, რომ ზოგადად საქართველოში ასეა, ისინი უფრო მეტი პასუხისმგებლობით უდგებიან ამ საკითხს. რომ ვთქვა, გამაოგნებელი შედეგებია-მეთქი, არა, მაგრამ ბიჭებთან უმძიმესი სიტუაციაა. დრამის მიმართულებაზე ან თეატრალური რეჟისორის მიმართულებაზე ცოტაა მსურველი, რაც შეეხება კინორეჟისურას, აქ მაინც არის მსურველი, მაგრამ ასარჩევი კონტინგენტიდან ყოველწლიურად უფრო და უფრო მძიმეა არჩევანის გაკეთება.

***– გამოდის, ნიჭიერი ხალხი სხვაგან აბარებს?***

– სადაც არის სწრაფი პერსპექტივა დასაქმების, მეტი მსურველია. მაგალითად, საოპერატოროზე სულ არის კონკურსი და სულ არის არჩევანი. ოპერატორები მესამე კურსზეც კი იწყებენ ტელევიზიაში მუშაობას, მათზე მოთხოვნა არის, ეს პროფესია და ეს ხალხი სჭირდებათ და ამიტომ ძალიან ბევრი საოპერატოროზე არის ისეთიც, ვინც მუშაობდა და მერე აბარებს ჩვენთან.

***– სამსახიობო ფაკულტეტის გარდა, რომელ ფაკულტეტზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა?***

– სამსახიობოს გარდა, ყველაზე მოთხოვნადი არის კინო-ტელე-საოპერატორო მიმართულება. ჩვენ არ გვაქვს შიდა გამოცდა მცოდნეობითი მიმართულებით, ამიტომ ვინც ჩვენთან მოხვდა თეორიულ ნაწილზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ჩვენთან უნდოდათ მოხვედრა, ნაწილს მართლაც უნდოდა, ნაწილი კი



უბრალოდ მოხვდა. რაღაც რაოდენობას მითითებული ჰქონდა 20 უმაღლესი, მათგან ერთ-ერთი იყო თეატრალური. ვისაც პირველ ნომრად ჰქონდა მითითებული თეატრალური ისიც მოხვდა და ვისაც მეოთხე ადგილზე ჰქონდა მითითებული, ისიც მოხვდა. ადრე შიდა გამოცდა იყო და კონკრეტულად იმ მიმართულებაზე მოდიოდა ადამიანი, იცოდა ვისთან, იცოდა რაზე და, შესაბამისად, მიღებულ კონტინგენტთან დაკავშირებით ვიცოდით, რომ ისინი არიან ისინი, ვისაც აქ უნდა სწავლა. ახლა მთლად ასე არ არის.

***– თქვენთან ანიმაციის სწავლება არის?***

– კი, არის. ჩვენთან ყველა საშემსრულებლო სპეციალობაზე ყოველ წელს არ არის მიღება. ყოველ წელს არის მიღება სამსახიობოზე, რეჟისურაზე და საოპერატოროზე. მხატვრული ფილმის რეჟისურაზე მიღება ყოველ წელსაა, მაგრამ ანიმაციის რეჟისურაზე არის მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ. ჯგუფი რომ დაამთავრებს, მერე აგვყავს ახალი ჯგუფი.

***– თემურ ჩხეიძე სახელოსნოს ხსნის, ის დარჩება თეატრალურშიც?***

– რა თქმა უნდა, ის დარჩება თეატრალურში თავის ჯგუფთან და იმუშავებს. მას ჰქონდა კიდევ ერთი იდეა, რომ გაეკეთებინა შემოქმედებითი სახელოსნო, რომელიც იქნებოდა აგებული ბევრად უფრო განსხვავებულ პრინციპებზე, ვიდრე ამას იძლევა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი. ისინი სულ სხვა სისტემით იმუშავებენ, იქ ერთ სახელოსნოში იმუშავებენ რეჟისორები, დრამატურგები, თეატრმცოდნეები, სცენოგრაფები. ჩვენთანაც, სცენოგრაფების გარდა, ეს სპეციალობები არის, მაგრამ ისინი სხვადასხვა ჯგუფებში არიან, მათ ერთმანეთთან ურთიერთობას არავინ უშლის, ერთობლივ პროექტებსაც ახორციელებენ, თეორიული ლექციებიც ეკითხებათ, მაგრამ ისე, რომ თავიდანვე კონცეფცია ისე იყოს აგებული, რომ სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები გავაერთიანოთ, ასეთი რამ ჩვენთან არ არის. ეს იყო თემურ ჩხეიძისთვის პრინციპული. სახელმწიფომ, როგორც იქნა, დააფინანსა ეს პროექტი, რომელიც არის ორწლიანი და სწავლება არის უფასო. ვთვლი, რომ საინტერესო პროექტია, რომელიც განხორციელდება სამეფო უბნის თეატრში. იყო ერთი წინასწარი საინფორმაციო შეხვედრა, იქნება კიდევ ერთი შეხვედრა და შეირჩევიან ისინი, ვინც თემურ ჩხეიძის სახელოსნოში მოხვდება.

***– შეიძლება ისინი იყვნენ თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებიც?***

– რა თქმა უნდა და აუცილებლად უნდა იყვნენ. ყველაზე კარგი შედეგი შეიძლება ამ პროცესმა მიიღოს სწორედ ამ შემთხვევაში, თუ უკვე ბაკალავრდამთავრებული რეჟისორები, თეატრმცოდნეები და სცენოგრაფები მივლენ ამ სახელოსნოში. მას არ აქვს შეზღუდვა. იქ მისვლა შეუძლია ყველას. თუ თეატრალურის კურსდამთავრებული მივა, მას ექნება გარკვეული ცოდნა და მისთვის უფრო ადვილი იქნება ბევრი რამე და სწრაფადაც აითვისებს.

***– ბატონო გოგი, პროფესიული ლიტერატურა რამდენად არის თარგმნილი ქართულ ენაზე?***

– ამ თემაზე კულტურის ახალ მინისტრთანაც ვისაუბრეთ. ჩვენ ჩვენს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზეც ვილაპარაკეთ. ამ წლების მანძილზე ეს ბაზა გაუმჯობესდა. რა თქმა უნდა, ვერ შევედრებით დასავლეთ ევროპულ უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებს და მათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უბრალოდ გაუმჯობესებული მდგომარეობა გვაქვს იმასთან შედარებით, რაც იყო წლების წინ. შარშან კულტურის სამინისტრომ მოგვცა ერთჯერადი დაფინანსება, გრანტი, რამაც საშუალება მოგვცა კინოფაკულტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი აპარატურა შეგვეძინა. ასეთივე ძვრები არის სხვა სახელოვნებო სასწავლებლებშიც. აქ ლაპარაკია ფუნქციონალური მინიმუმის ქონებაზე. არც ერთ სახელოვნებო უმაღლესს არ აქვს ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც აქვს დასავლეთ ევროპის სახელოვნებო უმაღლესებს და უნდა აღვნიშნოთ, რომ აზიის ქვეყნების სახელოვნებო სასწავლებლებს ევროპელებზე არანაკლები ბაზა აქვთ. პირველ რიგში, პეკინის აკადემიას.

რაც შეეხება თარგმანებს, აქ კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს უკვე მრავალი წლის მანძილზე. ჩვენ არ გვაქვს იმ პროფესიული ლიტერატურის აუცილებელი პროფესიული მეთოდოლოგიური ლიტერატურის ერთი მეათედიც კი, რაც უნდა გვქონდეს. ეს არის რთული პროცესი იმ მხრივ, რომ თარგმანს თანხები სჭირდება, ეს თანხები არ არის, ამიტომ მდგომარეობა მეტად სავალალოა. რუსულად არავინ აღარავის კითხულობს და ის, რომ რუსულს ისეთივე მოცულობით ჩაენაცვლა ინგლისური ენის მცოდნეები, ეს არის ლეგენდა. არც ისინი იკლავენ თავს, ვინც ცოტა მაინც იცის ინგლისურის კითხვა. ამას არ აქვს მნიშვნელობა. სულ ყველა რომ კითხულობდეს ინგლისურად დღეს და კარგად ფლობდეს ამ ენას, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს არ შეიძლება სახელმწიფო ენაზე თარგმნილი პროფესიული ლიტერატურა არ ჰქონდეს. ეს არ ხდება არსად. ყველა უმაღლესი სასწავლებელი ყველგან იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე თარგმნილი ლიტერატურით ასწავლის. რა თქმა უნდა, შეგიძლია დაამატო, რეკომენდაცია გაუკეთო უამრავ სხვა ლიტერატურასაც, მაგრამ ძირითადი და მთავარი ნაწილი უნდა იყოს თარგმნილი სახელმწიფო ენაზე.

***– პროფესიული პედაგოგების დეფიციტზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება პროფესიონალი პედაგოგების დეფიციტს, საქართველოში ბევრი უცნაური რამ ხდება. სულ არის ლაპარაკი იმაზე, როგორ, ვინ ასწავლის, გაუთავებელი წუნია, სულ იწუნებენ პედაგოგებს სამივე სახელოვნებო უმაღლესში, მაგრამ ხდება ერთი უცნაური რამ. ამ სახელოვნებო უმაღლესების სტუდენტები სხვადასხვა პროფილის სტუდენტურ ფესტივალებსა თუ კონკურსებზე იღებენ ძალიან მაღალ ადგილებს და შეფასებას, გრანპრისაც იღებენ საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით ბოლო წლებში. თუ ჩვენი საუკეთესო სტუდენტები ჩვენთანაც, კონსერვატორიაშიც და სამხატვრო აკადემიაშიც ახერხებენ სხვადასხვა კონკურსებზე წარმატების მიღწევას, ეს რას ნიშნავს? პედაგოგის პრობლემა ყოველთვის იქნება, ამაზე კამათი უაზრობაა. რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი შედეგები გვექნება, ჩვენ რომ გვქონდეს იმის სახსრები, ჩვენი პედაგოგები პერიოდულად კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მივავლინოთ თუნდაც ჩვენს პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში, იქ არსებული მეთოდოლოგიის გასაცნობად, კონტაქტების დასამყარებლად, მოვიწვიოთ ჩვენივე პარტნიორი, ვისთანაც მემორანდუმები გვაქვს გაფორმებული, იქაური სასწავლებლების პედაგოგები. ყველაფერი ეს თანხებთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ასეთი ინტენსიური გაცვლის შემთხვევაში პედაგოგების და სასწავლო მეთოდების ბევრად უკეთესი შედეგები გვექნება. ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება.

***– რამდენი უნივერსიტეტი გყავთ დამეგობრებული?***

– ბევრი, ძალიან ბევრი. ჩინეთის დრამის ცენტრალური აკადემია ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დაგვიმეგობრდა. ეს არის ამ პროფილის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სასწავლებელი. ის 48 წელს დაარსდა და მის დაფუძნებაში უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული მაო ძედუნს. ის კულტურული რევოლუციის დროსაც არ დახურულა. ეს არის მყარი, ტრადიციული, კარგი, მაღალი პროფესიული დონის უმაღლესი სასწავლებელი, ერთ-ერთი საუკეთესო ამ პროფილის. ჩინეთში არა ერთი და ორი ასეთი უმაღლესი სასწავლებლია. ჩვენი მათთან ურთიერთობა დაიწყო 2010 წელს, როცა ჩინეთში იმ დროს საქართველოს საელჩოს ხელმძღვანელობის ხელშეწყობით დაგვაკავშირეს ამ აკადემიას. ჩვენ მოვიწვიეთ აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორი. ის ჩამოვიდა, გაეცნო ჩვენს უნივერსიტეტს, ნახა მთლიანად სასწავლო პროცესი, დაესწრო ლექციებს და გამოთქვა სურვილი ჩვენთან თანამშრომლობის. ჩვენ ამაზე ისედაც თანახმა ვიყავით და ამის შემდეგ უკვე ჩვენ მიგვიწვიეს ჩინეთში. არის ასეთი გაერთიანება „აზიის თეატრალური საგანმანათლებლო ცენტრი“, რომელიც უკვე 10 წელია არსებობს და მისი დამფუძნებლები არიან ჩინეთი, ინდოეთი, სინგაპური, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უნივერსიტეტი, ფილიპინელები, იაპონელები, კოლუმბიელები, იუნესკო. ჩვენ მიწვეული ვიყავით ამ ფორუმზე. პირველ წელს მიწვეული ვიყავით როგორც სტუმრები, იქ ტარდება ყოველწლიური ფორუმი, რომელიც ეძღვნება თეატრალური ხელოვნების გარკვეულ თემას და ყველა მიწვეული ქვეყანა პატარა მოხსენებას აკეთებს. ამ ფორუმთან ერთად ტარდება სტუდენტური ფესტივალიც, რომელშიც მონაწილეობს 10-დან 11-მდე სხვადასხვა სკოლა, უმეტესწილად ეს არის დამფუძნებლების სკოლები. ორი წლის მანძილზე ჩვენ გვიწვევდნენ და ვესწრებოდით ამ ფორუმს. შემდეგი ფორუმი ჩატარდა სინგაპურში ამავე პრინციპით და წელსაც ვიყავით მიწვეული ისევ პეკინში.

***– თქვენ ჩინეთის დრამის ცენტრალურმა აკადემიამ საპატიო პროფესორად აგირჩიათ...***

– წელს უკვე მქონდა პატივი, ვყოფილიყავი ჟიურის წევრი. ეს არის საპრიზო ფესტივალი და შემდეგ უკვე კონფერენციის და ფესტივალის დამთავრების შემდეგ იყო შემოთავაზება, რომ ჩამეტარებინა მასტერკლასები ერთი კვირის მანძილზე იქაურ რეჟისორებთან. თემა იყო „ჩეხოვის დრამატურგიის თავისებურებები“. 3 წლის მანძილზე მაქვს საშუალება თვალი ვადევნო ამ ფესტივალს და საუკეთესო სპექტაკლებს აქვთ ძალიან მაღალი პროფესიული დონე. ეს განსაკუთრებით ეხებათ ჩინელებს, კორეელებს და იაპონელებს. ძალიან საინტერესო ხალხია, ძალიან დიდი მონდომებით აკეთებენ ყველაფერს, რაც ევალებათ სტუდენტებს, ძალიან მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და ძალიან მაღალი ხარისხით ასრულებენ. საბოლოო შედეგს, ანუ სპექტაკლებს როცა უყურებ, ხვდები, რომ უკლებლივ მთელი ანსამბლი მზად არის პროფესიაში შესასვლელად.

***– შესაძლებელია ამ სპექტაკლების ჩამოტანა?***

– ყველაფერი შესაძლებელია. ფული სჭირდება ყველაფერს, თორემ შესაძლებელია, რომ შემდეგ ფორუმზე ჩვენი უნივერსიტეტიც იყოს წარმოდგენილი.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 8 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 09.30 ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "სიყვარულის საიდუმლოებები" 14.00 "სამოთხის ვაშლები" 15.00 დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" 17.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.00 ტ/სერ. "ღირსება და პატივი" 22.00 "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ტრ.) 23.00 მხ/ფ "ცხოვრება, როგორც სახლი" (კ.კლაინი) 01.10 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" — "იორდანია, უდაბნოს სამეფო" 08.30 მხ/ფ "პროფესიონალი, პროფესიონალებს შორის" (ჟან-პოლ ბელმონდო) 10.00, 13.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 11.00 მხ/ფ "ვინეტუ I" 14.00 "ეპიცენტრი" (გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "მონსტრები დღეს"

08.00 სერ. "შურისმაძიებლი". 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "ბედის ანაბარა". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. "სილა" 14.40 სერ. "სიყვარული" ცა და მიწა" 17.35 სერ. "მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03 სერ. "ღირსების საქმე" 7 სერ. 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.00, 23.00 სერ. "შუა ქალაქში-2" 8-9 სერ. 00.00, 01.00 სერ. "20 წუთი" 02.00 სერ. "სიყვარულის სეზონი" 9 სერ. 03.40 მხ/ფ "ჰკითხე მტვერს" (ს.ჰაიეკი)

06.30 სერ. "არ დამივიწყო" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" - დაწყება 16.00 სერ. "ეზელი" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "კარადაი" 22.00 გააცინე და მოიგე 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 სერ. "ჟამი ყვავილობისა" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი

08.00 მუსიკა 09.00, 17.00 სერიალი "ლენა" 10.00, 13.00, 20.00 დ/ფ 11.00, 15.00, 22.00, 00.40 მხ/ფ 12.35, 16.40, 19.30 URBAN STORIES 14.00 სტილის სამყარო 18.00 მენტალისტი 19.00 პეპლის ეფექტი 21.00 ინტერესის ობიექტი 00.10 პოპკორნი 02.35 მუსიკა

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 მხ/ფ "მეტიჩარა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.05 მხ/ფ "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" 13.35 კონცერტი -ვენის სიმფონიური ორკესტრი 15.05 სალბუნი 15.25 სპექტაკლი - "ცოლქმარი ბინას დაეძებს" 16.50 დ/ფ "ცეკვის არისტოკრატი" 17.20 დეკორატიული ფლორა 17.35 დიდ ხარ შენ, უფალო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "განაჩენი" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.30 ღვთის სახლი 21.45 ცხრა კოლაელი ყრმა 22.25 დ/ფ "ჰამლეტ გონაშვილი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ლიგურკე" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ბრწყინვალე გონება" I ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.10 ფარული კამერა 8.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 დ/ფ "სწრაფი ზოლი" 10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 სერიალი "ასი" 15.40, 16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.05, 20.07 სერიალი "ქუჩები და გუნები" 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 0.10 SV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე 1.20, 2.10 მინისერიალი "როუზ რედი" 3 სერ. ნაწ.1

## სამშაბათი 9 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 09.ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 14.00 "გურმანია" 14.30 დ/ფ "სიურრეალისტური ფოტოგრაფია" 15.00, 21.00 ტ/სერ. "ღირსება და პატივი" 17.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 18.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 მხ/ფ "მაკარტური" (გ.პეკი) 00.05 მხ/ფ "ს. დარკო" 01.50 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 11.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 12.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 16.00 დ/ფ "ყურანის ისტორიის სათავეებთან" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "წყვდიადი" 1 სერ.

08.00 სერ. "შურისმაძიებლი". 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "ბედის ანაბარა". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. "სილა". 14.40 სერ. "სიყვარული" ცა და მიწა" 17.35 სერ. "მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03 სერ. "ღირსების საქმე" 8 სერ. 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.00, 23.00 სერ. "შუა ქალაქში-2" 10-11 სერ. 00.00, 01.00 სერ. "20 წუთი" 02.00 სერ. "სიყვარულის სეზონი" 10 სერ. 03.40 მხ/ფ "რიდიკის თავგადასავალი" (ვ.დიზელი)

06.30 სერ. "არ დამივიწყო" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "ეზელი" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "კარადაი" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი - დაწყება 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.00 სოციალური ცელი 00.30 სერ. "ჟამი ყვავილობისა" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 მუსიკა 09.00, 17.00 სერიალი "ლენა" 10.00, 18.00 მენტალისტი 11.00, 15.00, 22.00, 00.45 მხ/ფ 12.35, 19.30 URBAN STORIES 13.00, 21.00 ინტერესის ობიექტი 14.00 სტილის სამყარო 19.00 კიბერჰაუსი 20.00 დ/ფ 00.15 პეპლის ეფექტი 02.35 მუსიკა

06.10 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 07.35 მხ/ფ "ბრწყინვალე გონება" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "ლიგურკე" 11.10 დ/ფ "ჰამლეტ გონაშვილი" 11.35 პატერიკი 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "განაჩენი" 13.30 კონცერტი -ანს. "მთიები" 15.05 სალბუნი 15.25 მხ/ფ "დები ბრონტეები" 17.20 დეკორატიული ფლორა 17.35 დიდ ხარ შენ, უფალო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.15 მოკ./ფ "რა გაცინებს?!" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ჩვენი ამბავი" 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.35 დ/ფ "შუშანიკის წამება" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ბრწყინვალე გონება" II ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20 ფარული კამერა 8.40 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 დ/ფ "სწრაფი ზოლი" 10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 სერიალი "ასი" 15.40, 16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.05, 20.07 სერიალი "ქუჩები და გუნები" 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"(I სეზონი) 0.10 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე 1.20, 2.10 მინისერიალი "როუზ რედი" 1-ლი სერ. ნაწ.1, 1-ლი სერ. ნაწ.2

## ოთხშაბათი 10 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 09.30 ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 14.00 "სამოთხის ვაშლები" 15.00, 21.00 ტ/სერ. "ღირსება და პატივი" 17.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 მხ/ფ "ცხოვრება ისეთი, როგორიც არის" 00.00 მხ/ფ "უძღები შვილი" 01.50 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 11.00 დ/ფ "ყურანის ისტორიის სათავეებთან" 12.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 16.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 22.00 დ/ფ "მოკლე ამბები სიყვარულზე, რომელიც გრძელდება" 23.00 მხ/ფ "წყვდიადი" 2 სერ.

08.00 სერ. "შურისმაძიებლი". 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "ბედის ანაბარა". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. "სილა" 14.40 სერ. "სიყვარული" ცა და მიწა" 17.35 სერ. "მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03 სერ. "ღირსების საქმე" 9 სერ. 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.00, 23.00 სერ. "შუა ქალაქში 2" 00.00, 01.00 სერ. "20 წუთი" 02.00 სერ. "სიყვარულის სეზონი" 03.40 მხ/ფ "მიყვარხარ" ფილიპ მორის" (ჯ.ქერი)

06.30 სერ. "არ დამივიწყო" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ. "მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "ეზელი" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "კარადაი" 22.00 გააცინე და მოიგე 23.30 "ვინ დაამარცხებს ვასოს" 00.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 01.00 სერ. "ჟამი ყვავილობისა" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 მუსიკა 09.00, 17.00 სერიალი "ლენა" 10.00, 18.00 მენტალისტი 11.00, 15.00, 22.00, 00.10 მხ/ფ 13.00, 21.00 ინტერესის ობიექტი 14.00 სტილის სამყარო 19.00 ვარსკვლავთა ცხოვრება 19.30 URBAN STORIES 20.00 დ/ფ 23.40 კიბერჰაუსი 01.40 მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ "ბრწყინვალე გონება" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 თეთრიდან თეთრამდე 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 "ცოდნა და რწმენა" - შუშანიკის წამება (ლიტერატურული თეატრი) 13.45 კონცერტი - ანს. "რუსთავი" 14.45 "ჩვენი ამბავი" 15.05 სალბუნი 15.25 მხ/ფ "ბედურების გადაფრენა" 16.25 დეკორატიული ფლორა 16.35 დიდ ხარ შენ, უფალო 16.50 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.35 მხ/ფ "გაზაფხული გაღმის" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "თვენი" - წმინდა დიდმოწამე შუშანიკ დედოფალი 23.40 ჩვენი ფონდი - მამა ზურაბი - წმინდა დიდმოწამე შუშანიკი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ელენე, ტროას დედოფალი" I ნაწ.

მაესტრო

